# ავირჩიოთ ის, ვინც სიკეთეს მოუტანს ქვეყანას!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 იანვარი, 2007 წელი.

№ 1 (5859)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




## კათალიკოს-პატრიარქი მოგვიწოდებს

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ტრადიციულ საკვირაო ქადაგებაში 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების თემას შეეხო.

პატრიარქმა ხალხს არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდა. მან ბრძანა, რომ ხალხმა თვითონ უნდა განსაჯოს, ვინ მოუტანს საქართველოს სიკეთეს.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მოსახლეობას სწორი გადაწყვეტილების მიღებას ურჩევს.

— არ გეტყვით იმას, თუ ვინ აირჩიოთ. თქვენ ღმერთმა მოგცათ გონება და თქვენ უნდა განსაჯოთ, ვინ იქნება სასარგებლო და ვინ მოუტანს სიკეთეს ჩვენს სამშობლოს. ყველანი უნდა მივიდეთ ასარჩევად, — განაცხადა პატრიარქმა.

## კანონმდებლობას არღვევდნენ პოლიტიკოსებიც და საჯარო მოხელეებიც

გუშინ მედიაცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩხეიძემ ორგანიზაციის ანგარიში გააცნო ჟურნალისტებს და დეტალურად ჩამოთვალა, თუ რა მიმართულებებით იყო დაფიქსირებული მათ მიერ კანონდარღვევები.

კერძოდ, გიორგი ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა საარჩევნო ადმინისტრაციას კანონის შესაბამისად წარუდგინეს იმ შენობების ჩამონათვალი, სადაც პოლიტიკურ სუბიექტებს საშუალება მიეცათ წინასაარჩევნო შეხვედრები მოეწყოთ.

თუმცა, მათ მიერ ჩატარებულმა მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა შემთხვევები, რომ ერთმა პოლიტიკურმა სუბიექტმა — მიხეილ სააკაშვილმა კანდიდატად რეგისტრაციამდე შეხვედრა თბილისის საკრებულოში მოაწყო, რომელიც მოცემულ შენობათა სიაში არ შედის. ასევე იყო შემთხვევა, როდესაც თელავში თეატრის ადმინისტრაციამ უარი განუცხადა ერთ-ერთ ოპოზიციურ კანდიდატს შეხვედრის გამართვაზე, ზესტაფონში კი მეორე ოპოზიციური კანდიდატის მხარდამჭერებს არ მიეცათ საშუალება მხარდამჭერებს შეხვედროდნენ ფეროს კულტურის სახლში.

მისი თქმით, კანონმდებლობის დარღვევით აგიტაციაში მონაწილეობდნენ როგორც პოლიტიკური თანამდებობის საჯარო მოხელეები — დეპუტატები, მინისტრები, ქალაქის მერი და ა.შ. ასევე სხვა საჯარო მოხელეები — გუბერნატორები, რომლებიც კანონის თანახმად პოლიტიკური თანამდებობის პირები არ არიან.

ასევე, საია-მ კანონდარღვევად დააფიქსირა ამომრჩეველთათვის მატერიალური ფასეულობების გადაცემებისა და დაპირებების ფაქტი. საია-ს მიერ წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ასეთი პირდაპირი შემთხვევები მიხეილ სააკაშვილისა და არკადი პატარკაციშვილის მიერ.

ჩხეიძემ განაცხადა, რომ საია-მ, როგორც დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, თავი მოვალედ ჩათვალა მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა ორივე კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმება. სასამართლომ მათი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ასევე, გიორგი ჩხეიძე დასძენს, რომ მსგავსი შინაარსის დარღვევები ფიქსირდებოდა საია-ს რეგიონული ოფისების მიერაც. ბათუმში გარკვეული მატერიალური ფასეულობები რიგდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან.

რაც შეეხება საარჩევნო ფონდების გამჭირვალეობას, აღნიშნულ ფაქტს ერთ- ერთ პრობლემად გიორგი ჩხეიძე ასახელებს და აღნიშნავს, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათი ორგანიზაციის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რომ საარჩევნო ფონდები გამოქვეყნებულიყო არჩევნებამდე.

## კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია... 

7-8

ევროპის კონსტიტუციური მემკვიდრეობა და საქართველო

## მეორე ტური გარდაუვალია, რადგან 25 პროცენტზე მეტს ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს

4

# სახელმწიფო

● თითოეული თქვენი მიმართვა მრევლისადმი და არა მარტო მრევლისადმი, სავსეა მომავლის იმედით, ღრმა რწმენით, გჯერათ და ჩვენც გვარწმუნებთ, რომ საქართველო გაბრწყინდება და კიდევ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ღვთისგან ბოძებული ბრძენკაცის ინტუიციით უცილოგლად, გარდაუვალად მიგაჩნიათ საქართველოს გამთლიანება და ამ გაუსაძლისი ჭრილობის მოშუშება



**◎ ცესკო**

## როცა საარჩევნო უბნის კაბინაში ხარ...

**ძალიან ბევრი ადამიანი რეკავს რედაქციაში, აინტერესებთ, თუ როგორ მოიქცეს კენჭისყრისთვის მისული ამომრჩეველი, როგორ იმუშაოს ბიულეტენზე. დეტალების დასაზუსტებლად კიდევ ერთხელ მივმართეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ცესკოს პრესსამსახურის მონაცემებით, საარჩევნო ბიულეტენები დაბეჭდილია ოთხ ენაზე: 150 ათას 900 – აზერბაიჯანულ ენაზე, 73 ათას 250 – სომხურად, ხოლო 300 ცალი – ოსურად. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა დღეის მონაცემებით, არის 3 მილიონ 372 ათას 836.**


# ___ საარჩევნო უბანი #

საარჩევნო ბიულეტენი

საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები – 05.01.2008

# ___ ______________ საარჩევნო ოლქის

# ___ საარჩევნო უბანი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლევან გაჩეჩილაძე | [illegible] |
| 2 | არკადი პატარკაციშვილი | დამოუკიდებელი |
| 3 | დავით გამყრელიძე | პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" (ახლები) |
| 4 | შალვა ნათელაშვილი | საქართველოს ლეიბორისტული პარტია |
| 5 | მიხეილ სააკაშვილი | პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" |
| 6 | გიორგი მაისაშვილი | დამოუკიდებელი |
| 7 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | დამოუკიდებელი |

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის რიგითი ნომერი


საპლებისციტო ბიულეტენი

პლებისციტი – 05.01.2008

# ___ ______________ საარჩევნო ოლქის

# ___ საარჩევნო უბანი

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი პასუხი

"თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის გაზაფხულზე?"

დიახ    არა


საპლებისციტო ბიულეტენი

პლებისციტი – 05.01.2008

# ___ ______________ საარჩევნო ოლქის

# ___ საარჩევნო უბანი

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი პასუხი

"უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?"

დიახ    არა

რადგან საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად პლებისციტიც ტარდება, დაბეჭდილია სამი ფერის ბიულეტენი: თეთრ ფურცელზე არის პრეზიდენტობის კანდიდატთა სია, მეორე, მოყვითალო ფერის ფურცელზე, არის კითხვა – თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის გაზაფხულზე? მესამე, ცისფერი ფერის ფურცელზე არის კითხვა – უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოძ? კითხების ქვეშ შესაბამისად მითითებულია პასუხები – „დიახ" და „არა".

საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩეველი პირველ რიგში წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ ან ლტოლვილის მოწმობას და გაივლის მარკირების შემოწმების პროცედურას. შემდეგ კომისიის წარმომადგენელს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და გაივლის მარკირებას.

მომდევნო ეტაპზე ის მიიღებს სამი ფერის ბიულეტენს, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეგისტრატორის ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში, სადაც მან უნდა შემოხაზოს სასურველი კანდიდატის ნომერი, აუცილებელი არ არის, გადახაზოს მისთვის არასასურველი კანდიდატების ნომერი, მაგრამ თუკი ასე მოიქცევა, ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ბიულეტენზე გარკვევით იყოს მითითებული (შემოხაზულიძ მისთვის სასურველი, ერთადერთი კანდიდატის ნომერი. თუკი ამის გარკვევა შეუძლებელი იქნება, ბიულეტენი გაუქმებულად ჩაითვლება.

პლებისციტის ფურცლებზე გარკვევით უნდა მიეთითოს ან „დიახ", ან „არა". ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ ისე უნდა დაიკეცოს ბიულეტენი, რომ არჩევანი არ ჩანდეს. სამივე ფერის ფურცელი იდება ერთ თეთრ კონვერტში. ის, ვინც დამატებითი სიების მიხედვით მისცემს ხმას, სამივე ფერის ფურცელს დებს კონვერტში, ხოლო შემდეგ ეს თეთრი კონვერტი თავსდება წითელი ფერის კონვერტში. ბოლო საფეხურზე კონვერტი უნდა ჩაიგდოს საარჩევნო ყუთში, რის შემდეგაც ამომრჩეველი დაუყოვნებლივ ტოვებს საარჩევნო უბანს.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების პროცესს დააკვირდება 158 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მათ შორის ეუთოდან იქნება 300 დამკვირვებელი, 34 – ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი. საზღვარგარეთის 27 ქვეყნის მედიის 153 ორგანიზაციაა რეგისტრირებული. ყველაზე მეტი დამკვირვებელი ჩამოსულია რუსეთიდან და უკრაინიდან, ასევე, ბევრი დამკვირვებელია იაპონიიდან, ჩინეთიდან, კორეიდან, რა თქმა უნდა, ევროპის ქვეყნებიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

**თეა მოსია**

**◎ თარიღი**

## უფალს ებარებოდეთ!

***დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს დაბადებიდან 75 წლისთავი შეუსრულდა. ჩვენი გაზეთის მრავალათასიან მკითხველთა სახელით ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს კიდევ ერთხელ ვულოცავთ დაბადების დღეს, აღსაყდრების 30 წლისთავს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ!***

***გთავაზობთ მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილს.***

**უწმინდესო და უნეტარესო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო!**

**გილოცავთ აღსაყდრების 30 წლისთავს, დაბადებიდან 75 წლისთავს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს.**

**მოვისმინე თქვენი საახალწლო მიმართვა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.**

**თქვენ მშვიდობიანი მომავლის გჯერათ!**

**თითოეული თქვენი მიმართვა მრევლისადმი და არა მარტო მრევლისადმი, სავსეა მომავლის იმედით, ღრმა რწმენით, გჯერათ და ჩვენც გვარწმუნებთ, რომ საქართველო გაბრწყინდება და კიდევ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ღვთისგან ბოძებული ბრძენკაცის ინტუიციით უცილოგლად, გარდაუვალად მიგაჩნიათ საქართველოს გამთლიანება და ამ გაუსაძლისი ჭრილობის მოშუშება.**

**დიდი ძალა და ანდამატი აქვს თქვენს ქადაგებას, თქვენს ლოცვას... ახალი წლის ღამეს ასე დალოცეთ ქვეყანა... უფრო სწორად ასე დაასრულეთ: – „უფალს ებარებოდეთო".**

**უკეთესს ვერაფერს გეტყვით, სამშობლოს მოშორებული ქართველებიც ასე დაგლოცავთ: – „უფალს ებარებოდეთ!". დიდია მისი ძალა.**



**დღეს საქართველოს ეკლესიებში თქვენს სახელზე აღავლენენ ლოცვებს და მიხარია, რომ ჩემს სამშობლოში საზეიმოდ ჩამორეკილ ზარებს ბორჯომში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ზარების გუგუნიც შეუერთდება.**

დიდი სიყვარულით, პატივისცემით და მოწიწებით

**იოსებ ორჯონიკიძე,**

2008 წ. 4 იანვარი. მოსკოვი

**◎ ინფორმაცია**

### „საახალწლო საჩუქარი" გაჩეჩილაძისთვის

**ლევან გაჩეჩილაძის მეუღლის ნინო მიქელაძის მშობლების საცხოვრებელ სახლთან დაუდგენელმა პირებმა ასაფეთქებელი ნივთიერება ისროლეს. ამის შესახებ ინფორმაციას საერთო სახალხო მოძრაობის პრესსამსახური ავრცელებს.**

პრესცენტრში აცხადებენ, რომ ინციდენტი ირაკლი აბაშიძის ქუჩა №42-ში გამთენიისას, დაახლოებით 04:00 საათზე მოხდა. აფეთქების შედეგად ჩაიმტვრა საცხოვრებელი სახლის ფანჯრები.

### გოგა ქვანიამ პატარკაციშვილის შტაბი დატოვა

**გოგა ქვანია ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბს აღარ უხელმძღვანელებს. როგორც გოგა ქვანიამ განაცხადა, ეს გადაწყვეტილება მან ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებების გამო მიიღო.**

ქვანიას განცხადებით, ის პოლიტიკაში აქტიურად ჩართული არ ყოფილა და არც მომავალში აპირებს პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდეს.

– მე ვიყავი ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და არჩევნების დასრულებისთანავე მე ვაპირებდი ჩამოვშორებოდი ამ პროცესებს. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას შტაბის დატოვების შესახებ, ეს გადაწყვეტილება იმის გამო მივიღე, რომ ცოტა განსხვავებული შეხედულებები მაქვს იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც ბოლო პერიოდში განვითარდა, – განაცხადა გოგა ქვანიამ.

### სადამკვირვებლო კომისიას ამერიკელი სენატორი უხელმძღვანელებს

**5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთოს სადამკვირვებლო მისიას ამერიკელი კონგრესმენი ელსი ჰასტინგსი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება აშშ-ის ჰელსინკის კომისიამ გაავრცელა.**

განცხადებაში ნათქვამია, რომ ჰასტინგსი მისიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ ანხელ მორატინოსმა და ფინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა იკა კანერვამ ერთობლივად დანიშნეს.

ეუთოს მისიაში ასევე წარმოდგენილნი იქნებიან ტეხასის უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, კონგრესმენი ლოიდ დოჯეტი და ეუთოს ქვეყნების პარლამენტარები.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ნამდვილად არ მომწონს ის, თუ როგორ ექცევა გაჩეჩილაძე ჟურნალისტებს, მაგრამ მომწონს ის, რომ მას შეიძლება ცხრაჯერ შეუბრუნო კითხვა.
აი, მიხეილ სააკაშვილი კი არის ისეთი რესპონდენტი, რომელიც ქმნის ისეთ სიტუაციებს, როცა კითხვას ცხრაჯერ კი არადა, მეორედაც ვერ შეუბრუნებ

**თბილისი საახალწლოდ**



მურად ალაშვილის ფოტო.

**კოლეგა**

# ია ანთაძე: ძლივს მოვესწარით იმას, რომ პრეზიდენტობისთვის იბრძვიან ჩვეულებრივი ადამიანები და არა გმირები

## *როგორი რესპონდენტები არიან სააკაშვილი და გაჩეჩილაძე?*

***არჩევნები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რამდენიმე დღეში უმრავლესობის რჩეული მოვა ქვეყნის სათავეში, მაგრამ იქამდე კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არჩევნების გაყალბების, კანდიდატებისა და ჟურნალისტების ურთიერთობების, პატარკაციშვილის კანდიდატობიდან მოხსნის თემა... 5 იანვრის არჩევნებს საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით ხვდება.***

***წინასაახალწლოდ ჩვენი სტუმარი იყო ჟურნალისტი ია ანთაძე, რომელიც წლის ჟურნალისტად აღიარეს და „ოქროს პერგამენტით" დააჯილდოვეს.***

**— გილოცავთ „წლის ჟურნალისტის" წოდების მიღებას. თქვენი აზრით, როგორ უნდა მუშაობდეს ჟურნალისტი საქართველოში, ამ წოდების ღირსი რომ გახდეს?**

— ძალიან დიდ მადლობას ვუხდი იმათ, ვინც ეს პრიზი მომაკუთვნა. თუმცა, ალბათ, უპრიანი იქნება, თუ ზოგადად წლის ჟურნალისტის მინიჭების პროცესი გამჭვირვალე იქნება. როცა გეცოდინება, ვინ შეარჩია, რომელი ექსპერტების აზრი გაიზიარეს, ვინ იყო აქტიურად ჩართული ამ პროცესში, ამ წოდებას ფასი მოემატება.

**— სიტყვის თავისუფლების მხრივ რა მდგომარეობა გვაქვს?**

— თავისუფლების ხარისხის მხრივ ძალიან მძიმედაა საქმე. ვგონებ, სწორედ თავისუფლების ხარისხით შემარჩიეს. რადიო „თავისუფლება" ამ ნიშნით პირველ ადგილზეა. აქ არ არის არანაირი ცენზურა და ჟურნალისტი აბსოლუტურად თავისუფალია. ხოლო სხვა მხრივ, ძალიან ცუდად არის ჩვენთან ჟურნალისტის თავისუფლების ხარისხის საქმე. პრობლემა კონტრაქტია. თუ მოხდა ისე, რომ ჟურნალისტისა და მედიამფლობელის ხედვა ერთმანეთს დაემთხვა, ისინი, როგორც ერთი გუნდი, იწყებენ მუშაობას, მაგრამ თუ მოხდა პირიქით, როცა ჟურნალისტის ხედვა და რედაქტორის ინტერესი არ ემთხვევა, ჟურნალისტი იძულებულია, დაეფუძნოს სხვის ხედვებს, და არა თავისი სინდისის ხმას. იმიტომ, რომ მას არ იცავს არაფერი დედამიწის ზურგზე და ის იძულებულია, დატოვოს სამსახური. მაგრამ სად წავა? სად იპოვის თვისებრივად უფრო კარგ სივრცეს?

**— სწორედ ამ შემთხვევასთან ხომ არ ჰქონდათ საქმე ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტებს, რომლებიც დარჩნენ ტელევიზიაში და სხვაგან არ წავიდნენ?**

— მოდით ამ საკითხს ასე ნუ გავაუბრალოებთ. „იმედი" ორ ჯგუფად დაიყო — ერთი ნაწილი წავიდა დილით და თქვა, რომ ემიჯნებოდა თავის კოლეგებს, მეორე ნაწილმა კი განაცხადა, რომ რჩება და იბრძოლებს „იმედის" გადასარჩენად.

**— როგორ ამართლებთ ამ უკანასკნელების საქციელს, როცა ისინი, ანუ დაქირავებული ჟურნალისტები ულტიმატუმის ენით ელაპარაკებიან პატარკაციშვილს, ანუ დამქირავებელს?**

— მათ საქციელს აბსოლუტურად ვამართლებ. მე რომ ვყოფილიყავი „იმედის" ჟურნალისტი, მეც არსად არ წავიდოდი და სანამ იარსებებდა პაწაწინა შანსი, ვიბრძოლებდი გადასარჩენად, რომ არ გაქრეს „იმედი" და დარჩეს როგორც თავისუფალი ტელეკომპანია.

**— პატარკაციშვილს ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს — ან პოლიტიკიდან უნდა წასულიყო, ან დაეთმო „იმედის" აქციები. ის წავიდა პოლიტიკიდან, თუ იქნებ არც წავიდა და — ოლიგარქი რჩება პოლიტიკაში?**

— რომ ეყარა კენჭი ივანიშვილს, იქნებ არც გახმიანებულიყო სიტყვა „ოლიგარქი". მით უფრო, რომ პატარკაციშვილმა მომავალში შეიძლება მოულოდნელი ნაბიჯები გადადგას, წინასწარ დასკვნებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ მისი საუბრების ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, მას არ დარჩა შანსი პოლიტიკაში დარჩენისა.

თუმცა აქვე შემიძლია გაგახსენოთ: 2003 წელს ამერიკის ელჩი ამბობდა, რომ რევოლუციამდე სააკაშვილი ხვდებოდა მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს. რაზე ისაუბრეს, არავინ იცის, არც ის, როგორ დაარწმუნა სააკაშვილმა ისინი, რომ რევოლუცია უსისხლო ყოფილიყო. ჩვენ არ ვიცით, მაგრამ შეიძლება იქ ძალიან მძიმე საუბრები იყო.

**— ამ ბოლო დროს გამოიკვეთა პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის გართულებული დამოკიდებულება ჟურნალისიტების მიმართ. საინტერესოა, როგორი უნდა იყოს ზოგადად პოლიტიკოსისა და მედიის წარმომადგენლის ურთიერთობა?**

— არიან ორი კატეგორიის ჟურნალისტები. ერთნი, რომლებიც მუშაობენ ფარულ წყაროზე დაყრდნობით და მეორენი, რომლებიც მუშაობენ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით. მე როდესაც ჟურნალისტიკაში მოვედი, ინტუიციით მივხვდი, რომ დაცული ვიქნებოდი ყოველგვარი ზეწოლისაგან, თუ ვიმუშავებდი საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით. ფარული წყარო ნიშნავს, რომ გაქვს ძალიან საინტერესო ინფორმაცია, მაგრამ ნდობის ხარისხი ნაკლებია, იმიტომ რომ ფარულ წყაროსთან ერთად გიჩნდება სფერო, რომელსაც ვერ შეეხები. თუ შენ ადამიანი გაწვდის ინფორმაციას, რომელიც შემდეგ დასტურდება, ცხადია, ამ ადამიანზე კრიტიკულს ვერაფერს დაწერ. როცა საჯარო ინფორმაციას ეყრდნობი, ძნელია გააკეთო საინტერესო მასალა იმაზე, რაც უკვე ითქვა, მაგრამ თუკი ეს მოახერხე, ეს უკვე კარგი ჟურნალისტობაა.

ჟურნალისტი ვალდებულია, რესპონდენტისაგან მიიღოს პასუხი თავის შეკითხვაზე და თუკი ვერ მიიღებს პასუხს, გაუმეოროს იმდენჯერ, სანამ პასუხს არ გასცემენ. ნამდვილად არ მომწონს ის, თუ როგორ ექცევა გაჩეჩილაძე ჟურნალისტებს, მაგრამ მომწონს ის, რომ მას შეიძლება ცხრაჯერ შეუბრუნო კითხვა.

აი, მიხეილ სააკაშვილი კი არის ისეთი რესპონდენტი, რომელიც ქმნის ისეთ სიტუაციებს, როცა კითხვას ცხრაჯერ კი არადა, მეორედაც ვერ შეუბრუნებ.

**— დაბოლოს, კარსმომდგარი არჩევნების თემა...**

— ეს არის ძალიან საინტერესო არჩევნები იმ თვალსაზრისით, რომ პირველად გაჩნდნენ რეალური კანდიდატები. წინა პერიოდში გვყავდა ზვიად გამსახურდია — ეროვნული გმირი და, მეორე მხრივ, აბსოლუტურად გაკოტრებული კომუნისტები. სამოქალაქო ომის შემდეგ ჩამოვიდა შევარდნაძე, რომელსაც ჰქონდა მაღალი საერთაშორისო იმიჯი და მისი კონკურენტი იყო ქართლოს ღარიბაშვილი. რევოლუციის შემდეგ გვყავდა რევოლუციის ლიდერი — სააკაშვილი და ხელისუფლების მხრიდან დაუპირისპირდა შაშიაშვილი. ანუ გვყავდა გმირი და ანტიგმირი. რა თქმა უნდა, ხალხი ერთმნიშვნელოვნად ირჩევს გმირს.

დღეს ჩვენ არა გვყავს გმირი. როგორც იქნა, მოვესწარით იმას, რომ პრეზიდენტობისთვის იბრძვიან კანდიდატები — ჩვეულებრივი ადამიანები და არა გმირები. ამ ადამიანებს აქვთ თავიანთი წარსული შეცდომებით, უამრავი ნაკლით, აქვთ ბევრი უარყოფითი, თუმცა აქვთ დადებითი მხარეებიც. სწორედ უფრო მეტი დადებითის გამო უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი, რაღაცა უპირატესობებით უნდა გამოვკვეთოთ კანდიდატი და ხმა მივცეთ მას. ამისთვის კი გვჭირდება თავისუფალი არჩევანი და, რა თქმა უნდა, გაუყალბებელი არჩევნები. ამიტომ მინდა, რომ არჩევნები ჩატარდეს ყოველგვარი დარღვევების გარეშე, კენჭისყრის პროცესმა ჩაიაროს მშვიდ გარემოში, რასაც თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეუწყოს ხელი.

ესაუბრა
**თეა მოსია**

**ნაახალწლევს**

# ნაბახუსში არჩევნები?

**მღელვარე და აგრესიულ ვირთხას ჩინელები სკანდალებს და არეულ-დარეულობას უკავშირებენ. ნებით თუ უნებლიეთ, ბედისწერით თუ განგების ნებით, საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ვირთხის შემოზრძანებას დაემთხვა. ატყდა მითქმა-მოთქმა, პოლიტიკაში მოულოდნელობა და სიურპრიზი არ აგვცდებაო...**

სიურპრიზი ნოემბერ- დეკემბერში ნამდვილად არ მოგვკლებია, თუნდაც ის, რომ გულისამაჩუყებელი მოთქმითა და სიმღერით გახსნილი ტელეკომპანია „იმედი" რამდენიმე დღეში თავადვე დაიხურა. ხოლო „უიმედოდ" ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობაზე ოპოზიცია მაინცდამაინც თავს აღარ იტკიებს. თუმცა მანამდე ამით ყური გამოგვიჭედეს...

ფაქტია, რომ საარჩევნო მარათონისკენ „უიმედოდ", ხელისუფლების „ჯიბის ტელევიზიების" ამარა მივდივართ. ეს ის ტელევიზიებია, რომლებმაც ზემო აფხაზეთიდან სააკაშვილის წინასაახალწლო გამოსვლა ჩართეს, რითაც, ბუნებრივია, დაირღვა საარჩევნო კანონმდებლობა, ანუ ხელისუფლების კანდიდატის განსაკუთრებული პრივილეგია კიდევ ერთხელ დაადასტურა. ტელეეთერის უზურპაციას ყველანი მშვენივრად ვხედავთ და ამ ფონზე, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, როგორ გაშუქდება 5 იანვრის არჩევნები — ახალ ბრეჟნევიანაში დაბრუნება კი კარგია თუ ცუდი, თავად განსაჯეთ.

ყოველ შემთხვევაში, საქართველო 5 იანვარს თავად გადაწყვეტს, ცხოვრება ბელადთან ერთად უნდა თუ უბელადოდ. მართალია, ზოგიერთი ექსპერტი მას საყვედურობს, რომ თურმე იგი დემოკრატიისთვის მზად არ აღმოჩნდა და ხელისუფლების ღირსი არ ყოფილა. ამაზე მშვენიერი კომენტარი გააკეთა ბატონმა სოსო ცისკარიშვილმა — ისე გამოდის, ხელისუფლების წარმომადგენლები ზეცაში არიან ჩასახულები და პირდაპირ იქიდან ჩასახლებულან საკუთარი პოლიტიკურ გუნდშიო...

ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის არსებული ასეთი დიდი უფსკრული იქნებ სწორედ ამ „ზეცაში ჩასახვაში" ვეძიოთ, რამაც ხელისუფლება რეალობას მოწყვიტა. მართალია, ტელევიზიით წამდაუწუმ აცხადებენ, საქართველოს სიმდიდრე მისი ხალხიაო, მაგრამ ხალხი მხოლოდ წინასაარჩევნოდ გაახსენდათ. თავად ხალხი კი ამას მორიგ პიარ-კამპანიად მიიჩნევს, ასევე, პიარია გულისამაჩუყებელი სახით დავით ალმაშენებლის ხატზე ამბორი და განცხადება დავითის დანატოვარი საქართველოს ხელახლა შექმნაზე... როგორ დავიჯეროთ ეს, როდესაც დავით მეფის ქანდაკება ზარზეიმით გააძევეს თბილისის გულიდან... დავით ალმაშენებლის რომელი დანატოვარი საქართველო იგულისხმება, როცა აფხაზეთსა და შიდა ქართლზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გასხვისებულია დანარჩენი მიწა, ტყე თუ წყალი...

სამწუხაროდ, ხელისუფლება ვირტუალურ გარემოს გვიქმნის, რომ ყველაფერი კარგად არის და, ასევე, ვირტუალური დაპირებებით თავბრუს გვახვევს... აბა, როგორ გავიგოთ, როდესაც ქვეყანაში სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამა ცოტა ხნის წინათ წარმატებით შესრულებულად გამოაცხადეს, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების მთავარი ლოზუნგი ყოფილა „საქართველო სიღარიბის გარეშე"... ექსპერტები იმასაც აცხადებენ, რომ თურმე მსოფლიო ბანკი 3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 20 მილიონ დოლარს აძლევს საქართველოს მთავრობას სიღარიბის დასაძლევად, მაგრამ საკითხავია, ეს თანხა სად მიდის?

ასე რომ, წინასაარჩევნოდ მრავალი კითხვის ნიშანი რჩება, თუნდაც ის, რატომ მაინცდამაინც ახლა — ამ ორიოდ თვეში წამოწიეს წინ კომპრომატები, ოპოზიცია დაშანტაჟების უამრავ ფაქტზე ალაპარაკდა... არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე, გაერთიანებული ოპოზიციის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატსაც გადასწვდნენ — სალომე ზურაბიშვილის ძმა საგანგებოდ ჩამოფრინდა პარიზიდან სახელისუფლებო კანდიდატისთვის მხარის დასაჭერად. საკამათოა, თუ რამდენად ტაქტიანი იყო ბატონი ოთარ ზურაბიშვილის გამოსვლა, ასევე სააკაშვილის შტაბის სპიკერის — ბაქრაძის სიამაყენარევი განცხადება ამ ფაქტის გამო.

ზემოთ კითხვის ნიშნები ვახსენე. საკითხავი ისიც არის, რატომ მაინცდამაინც საახალწლო დღეებში, შობამდე ორი დღით ადრე, დიდ მარხვაში დაინიშნა არჩევნები. რა მიხვედრა უნდა, ნაბახუსებს ქართველ კაცს არჩევანის საშუალება არ ექნება — ყველაფერი იდეალურად ეჩვენება, ხოლო დიდ მარხვაში გამართული არჩევნები მართლმადიდებლური თვალსაზრისით, მძიმე ცოდვა ყოფილა.

ამის მიუხედავად, ალბათ, მაინც ყური უნდა დავუგდოთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რჩევას და ღვთისგან ნაბოძები საკუთარი გონებით მივიღოთ გადაწყვეტილება.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

**ქართულ მენტალიტეტში კიდევ უფრო გამყარდა აზრი, რომ საქართველო უკან დახევას არ აპირებს და ეს ცხადი ხდება სხვა ქვეყნებისთვისაც. ეს ის საკითხია, რომელშიც პოლიტიკური ძალები ერთ პოზიციებზე დგანან**

**თბილისი საახალწლოდ**



მურად ალაშვილის ფოტო.

**პოზიცია**

## რამაზ საყვარელიძე: მეორე ტური გარდაუვალია, რადგან 25 პროცენტზე მეტს ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს

***პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურის ჩატარებას პროგნოზირებს. მისი შეფასებით, 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის შანსები კვლავ 50-50-ზე რჩება.***

***„ინტერპრესნიუსთან" საუბარში პოლიტოლოგმა ზოგადად შეაფასა პრეზიდენტობის კანდიდატთა მიერ წარმოებული საარჩევნო კამპანია და თავისი მოსაზრებები გამოთქვა კანდიდატთა წინასაახალწლო მილოცვებზე, მილოცვისათვის ადგილის შერჩევასა და იმ ძირითად მესიჯებზე, რომელიც მათ 31 დეკემბერს მოსახლეობისათვის გააკეთეს.***

**— საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი დღე დარჩა. როგორ შეაფასებდით პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ წარმოებულ წინასაარჩევნო კამპანიას?**

— წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატების ბრძოლა აქტიურად წარიმართა. კანდიდატების მხრიდან მაქსიმუმიც გაკეთდა და ზოგიერთ შემთხვევაში მაქსიმუმზე მეტიც. ზოგიერთის წინასაარჩევნო კამპანია იმდენად აქტიურია და ერთ-ერთი კანდიდატის სახელი იმდენად ხშირად გვხვდება, რომ ის უკვე ჭარბია.

სააკაშვილის შემთხვევაში მთელი საარჩევნო კამპანია და განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მეტისმეტად ინტენსიური იყო. ამიტომ გამოკვლევებში მისმა რეიტინგმა ცოტა დაიწია. რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, მგონი, დროული იყო ერთიანი ოპოზიციის მიტინგი, რადგან მათთვის მიტინგის ენა უფრო ბევრის მომცემი აღმოჩნდა, ვიდრე სარეკლამო კლიპები. მიტინგი, რომელიც რიყეზე მოეწყო, იყო საარჩევნო კამპანიის კომპრომატი, ანუ მოხდა ტესტირება იმისა, რომ ხალხი გაჩეჩილაძეს უჭერს მხარს. დანარჩენებიდან ორიგინალური საარჩევნო კამპანია ჰქონდა ირინა სარიშვილს, რომელიც კამპანიას არც ეწეოდა. მან კამპანია პრაქტიკულად მხოლოდ იმის პროპაგანდას მოანდომა, რომ მოსახლეობამ ხმა არ მისცეს ხელისუფლების კანდიდატს და ბადრი პატარკაციშვილს.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, საინტერესო და იმდენი კლიპი ჰქონდა დავით გამყრელიძეს, რამდენიც უნდა ჰქონოდა. ნაკლები კლიპები ჰქონდათ შალვა ნათელაშვილს და გია მაისაშვილს, რაც ალბათ საარჩევნო კამპანიის წარმოების მათ გარკვეულ სტილზე მიუთითებს.

**— თქვენი შეფასებით, რომელმა კანდიდატმა უკეთ გამოიყენა შესაძლებლობა და მოსახლეობას ვინ უფრო ეფექტურად მიულოცა ახალი წელი. მიხეილ სააკაშვილმა ახალი წელი კოდორის ხეობიდან მოგვილოცა, ნათელაშვილმა ნიქოზის ტაძრიდან, მაისაშვილი და გამყრელიძე ხალხში გავიდნენ. რას შეიძლება ნიშნავდეს მათ მიერ მილოცვისთვის ადგილის შერჩევა?**

— ახალი წლის ღამეს, პრინციპში, გაგრძელდა იგივე ტენდენციები, რაც მანამდეც თვალშისაცემი იყო. ახალი წლის მილოცვაში ტელევიზიებმა ჩართეს ერთ-ერთი კანდიდატი, კერძოდ, სააკაშვილი პატრიარქისა და ნინო ბურჯანაძის გვერდით. კონტროლირებადმა ტელევიზიებმა მოახერხეს წინა პლანზე პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის წინ წამოწევა. სხვა მხრივ, პოლიტიკოსები საახალწლო ორომტრიალში დიდად თვალშისაცემი არ იყვნენ. ეს კარგიც არის, გარკვეული თვალსაზრისით, ვინაიდან ამომრჩეველმა ახალი წლის ღამეს პოლიტიკური ზეწოლისგან ამოისუნთქა.

**— რაც შეეხება კანდიდატების მიერ მილოცვისთვის ადგილის შერჩევას, ამაზე რას იტყვით?**

— ამის ირიბი შედეგი შეიძლება იყოს ის, რაც შემდეგ აფხაზეთში მოხდა. ვგულისხმობ აფხაზების მიერ გალის რაიონში სახლების გადაწვას. აფხაზები, რომლებიც საკმაოდ ბეჯითად ადევნებენ ხოლმე თვალ-ყურს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, მიხვდნენ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ მოვა საქართველოს ხელისუფლებაში. ცხადია, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატის მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ნომერ პირველი საკითხია. ამას წინათ ბაღაფშმა ისიც თქვა, რომ ქართველებთან ლაპარაკს ეტყობა აზრი არ აქვსო. ამ ფონზე ხელისუფლების შეცვლა არ ნიშნავს საქართველოში ამ პრობლემის მიმართ დამოკიდებულების შეცვლას. ერთი რამ ფაქტია, ქართულ მენტალიტეტში კიდევ უფრო გამყარდა აზრი, რომ საქართველო უკან დახევას არ აპირებს და ეს ცხადი ხდება სხვა ქვეყნებისთვისაც. ეს ის საკითხია, რომელშიც პოლიტიკური ძალები ერთ პოზიციებზე დგანან. ამის დემონსტრირება იყო ნათელაშვილის მიერ ახალი წლის ნიქოზის ტაძრიდან მოლოცვა და თუნდაც გამყრელიძის მიერ ახალი წლის ღამეს ქვეყნის მომავალ თაობასთან ერთად შეხვედრა.

**— თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ არჩევნებში ოპოზიციისა და ხელისუფლების შანსები 50-50-ზეა. არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა, ამ საკითხზე იმავე აზრზე რჩებით?**

— შანსები ახლაც 50-50-ზე რჩება, რადგან დარწმუნებული ვარ, ადამიანები, რომლებიც სოციოლოგიურ გამოკვლევებში არ ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას და ამბობენ, რომ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ვის მისცემენ ხმას, თითქმის 50 პროცენტამდეა. ხმების რესურსი არსებობს და ჩემი აზრით, ეს ხმები უფრო ოპოზიციის რესურსია, ვინაიდან, როგორც წესი, ხელისუფლების მომხრე უფრო ადვილად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას კანდიდატებისადმი. რაც შეეხება ხელისუფლების მხარეს, მათთან არის ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც ხელისუფლებას ბოლომდე აგრეთვე არ გამოუვლენია და არ ვიცით, არჩევნების დღეს, ადმინისტრაციული რესურსის სახით რა მექანიზმები ამოქმედდება. ასე რომ, ორივე მხარეს აქვს გამოუვლენელი რესურსი. რაც შეეხება სოციოლოგიურ კვლევებში გამოვლენილს, აქაც დაახლოებით თანაბარი მდგომარეობაა, აქაც ძალიან მცირე სხვაობებია.

**— ექსპერტთა ერთი ნაწილი მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობას არ გამორიცხავს, როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ჩემი ვარაუდით, მეორე ტური გარდაუვალია, რადგან 25 პროცენტზე მეტს ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს და ამის გაორმაგება ერთ დღეში ძალიან ძნელია.

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი"**

**როცა მხარში ადამიანები გიდგანან**

## ლალი ქიშმარია: სოხუმში ბევრს მიაჩნია, რომ მხოლოდ ეროვნების გამო ვინმეს მიმართ აგრესიულად არ უნდა განეწყო

***როგორ ცხოვრობენ სოხუმელები დღეს და რა განწყობა აქვთ მათ ქართველების მიმართ? ამ კითხვებზე ღიად საუბრის სურვილი სოხუმელების უმეტესობას სავარაუდოდ, ნაკლებად აქვს, თუმცა, პირად საუბარში ერთ-ერთი მათგანი — ლალი ქიშმარია ამბობს, რომ რიგითი სოხუმელების უმეტესობას პოლიტიკა არ აინტერესებს და ადამიანებზე ეროვნების მიხედვით არ მსჯელობს. მის 19 წლის ვაჟს, რომელიც 9 დეკემბერს სოხუმში, საკუთარ სახლთან ავტოსაგზაო შემთხვევისას დაშავდა, ამჟამად მკურნალობა ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში უტარდება. „ინტერპრესნიუსმა" ლალი ქიშმარია და მისი ვაჟი ქუთაისში მოინახულა და ესაუბრა.***

**ლალი ქიშმარია:** ჩემი შვილი სოხუმში, სახლიდან გამოდიოდა, როცა მანქანა დაეჯახა. ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში გადავიყვანეთ საავადმყოფოში. მინდოდა მაშინვე ჩამომეყვანა ქუთაისში, მაგრამ ექიმებმა მითხრეს, რომ მისი ტრანსპორტირება არ შეიძლებოდა. შემდეგ, როცა ნათელი გახდა, რომ მის გადასარჩენად ქუთაისში ჩამოყვანა აუცილებელი იყო, გადმოყვანის ნება დაგვრთეს.

**— აქ ვისთან ათევთ ღამეს?**

— აქ დედაჩემის და ჩემი მეუღლის ბებიის ნათესავები ცხოვრობენ. ნათესავები ყველგან მყავს — ქუთაისში, ჯვარში, ზესტაფონში. ისინი ჩემი შვილის დაშავების პირველივე დღიდან მირეკავდნენ და მთხოვდნენ, იგი ქუთაისში ჩამომეყვანა. მაგრამ როგორც გითხარით, გადმოყვანის უფლებას იმ მოტივით არ მაძლევდნენ, რომ მისი ტრანსპორტირება არ შეიძლებოდა. მეუბნებოდნენ, რომ პასუხისმგებლობა მე უნდა ამეღო, მაგრამ საქმე ჩემი შვილის სიცოცხლეს ეხებოდა და ეს ჩემთვის ძალიან ძნელი იყო.

**— სოხუმში ოპერაცია ჩაუტარდა?**

— მას მხოლოდ ღვიძლის ოპერაცია გაუკეთეს, ტვინზე კი ოპერაცია არ ჩატარებია, თავზე მხოლოდ ნაკერები დაადეს. შვილის სანახავად შესვლა ნათესავების დახმარებით მხოლოდ 5 წუთით შემეძლო. ახლა აქ მკურნალობის დასრულებამდე დავრჩები.

**— თქვენმა ხელისუფლებამ იცის, რომ თქვენი შვილი ქუთაისში გყავთ და აქ მკურნალობთ? რაიმე პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ მისი გადმოყვანისას?**

— რა თქმა უნდა, იციან ამის შესახებ და პრობლემებიც არ შემქმნია. როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, მის გადარჩენაში წინააღმდეგობას არც ერთი ნორმალური ადამიანი არ გაგიწევს.

**— კარგია, რომ რაღაც საკითხები მაინც არსებობს, რომლებზეც ქართველებსა და აფხაზებს შეთანხმება შეგვიძლია...**

— გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს, შეთანხმება ყველაფერზე შეიძლება.

**— თქვენ თქვით, რომ ენგურს აქეთ ბევრი ნათესავი გყავთ, კონფლიქტის შემდეგ არ ყოფილხართ გადმოსული?**

— მას შემდეგ აქეთ აღარ ვყოფილვარ, ეს პირველი შემთხვევაა.

**— და როგორი შთაბეჭდილება გაქვთ?**

— აქ ისე კარგად მიგვიღეს და ისე გვეხმარებიან, რომ გულაჩუყებული ვარ. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ამაში ეჭვი არც მეპარებოდა, რადგან მიმაჩნია, რომ ცუდი ერი არ არსებობს, ცუდი ან კარგი მხოლოდ ადამიანები არსებობენ. ამდენად, ეროვნების მიხედვით არავისზე ვმსჯელობ, ვინც არ უნდა იყოს ის.

**— სოხუმში თქვენსავით ბევრი ფიქრობს? როგორ არიან განწყობილები ქართველების მიმართ?**

— პირადად მე პოლიტიკაში არანაირად არ ვერევი, პოლიტიკაზე საუბრის სურვილიც კი არ მაქვს და ჩემნაირი სოხუმში ბევრია. ასევე ბევრს მიაჩნია, რომ ადამიანზე ეროვნების მიხედვით არ უნდა იმსჯელო და მხოლოდ ეროვნების გამო ვინმეს მიმართ აგრესიულად არ უნდა განეწყო.

**— როგორ ცხოვრობთ კონფლიქტის შემდეგ — გიჭირთ მატერიალურად? პირადად თქვენ მუშაობთ?**

— ყველას ისე გააქვს თავი, როგორც შეუძლია. მე ბაზარში გამყიდველად ვმუშაობ, საკუთარი საქონელიც კი არ მაქვს — სხვის საქონელს ვყიდი. ნათესავებიც მეხმარებიან სოფლიდან. ქმარი და კიდევ ერთი ქალიშვილი მყავს, როგორღაც ვახერხებთ თავის რჩენას.

**— როგორი მდგომარეობაა სოხუმში? ამბობენ, რომ იქ ცხოვრება უსაფრთხო არ არის და ბევრი ბანდიტური დაჯგუფება მოქმედებს...**

— თუ ჩვენთან ჩამოხვალთ, დაინახავთ, რომ იქ არანაირი საფრთხე არ დაგემუქრებათ. იქ ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანები ცხოვრობენ და არც კრიმინოგენური მდგომარეობაა განსაკუთრებულად დაძაბული.

**მანანა მჭედლიშვილი,**
**„ინტერპრესნიუსი"**

● თუ საარჩევნო სიებში იგივე ნადირაძის ნაცვლად ჩაწერეს სვიმონ მასხარაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ხერხეულიძეები, წიკლაური და ა.შ იცით რა გამოვა? იგივე, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე. ეს ხალხიც იგივე სამსახურს გაუწევს სააკაშვილს, რაც ძველმა ხალხმა გაუწია

⊙ თბილისი საახალწლოდ



მურად ალაშვილის ფოტო.

⊙ დაპირებები, დაპირებები

# სოსო ცინცაძე: მთავარი ის კი არ არის, ვის გაუშვებს სააკაშვილი თავისი გუნდიდან, მთავარი ის არის, ვის მიიყვანს ძველების ნაცვლად

***პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილი მრავალ წინასაარჩევნო დაპირებას შორის ორია გამორჩეული – არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში პოლიტიკურ გუნდში სერიოზული ცვლილებების განხორციელება და მეორე, შემდეგ საპრეზიდენტო ვადაში კონფლიქტური რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. ამ თემაზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ სოსოს ცინცაძეს ესუბრა.***

**– ბატონო სოსო, პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, მის გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდება. მართალია, მას არ დაუკონკრეტებია საპრეზიდენტო გუნდიდან იგი ვის „გარიყვას" გეგმავდა, მაგრამ მაინც საინტერესოა, რას შეიძლება ნიშნავდეს სააკაშვილის ეს განცხადება და რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს მისი ამგვარი დამოკიდებულება თავისი გუნდისადმი?**

– თუ ეს მართლა მოხდა, ლოგიკური იქნება. ვინაიდან სააკაშვილს საკმარისი დრო ჰქონდა იმისათვის, დარწმუნებულიყო, რომ მისი გუნდი აბსოლუტურად არაეფექტიანია და მას, არა თუ მატებს რეიტინგს და პოპულარობას, ამ გუნდის ქმედებას უკუშედეგი აქვს. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, სააკაშვილი თავის პოლიტიკურ გუნდში სერიოზული ცვლილებების შეტანით, აუცილებელ და ჭკვიანურ ნაბიჯს გადადგამს.

სამწუხაროდ, ჩვენთან მაღალკვალიფიციური სოციოლოგიური კვლევითი ცენტრი არ არსებობს, რომელიც დაადგენდა, რამდენი ხმა დააკარგვინა სააკაშვილს არჩევნებში ნადირაძემ, ბალავაძემ, სამყურაშვილმა და ა.შ. ამას სააკაშვილი გრძნობს. მნიშვნელობა არა აქვს, ამას იგი თავად მიხვდა, თუ მისმა ახლობელმა, ჭკვიანმა ადამიანმა უთხრა. თუ ის თავის გუნდში სერიოზულ ცვლილებებს განახორციელებს, ეს მისი მხრიდან ძალიან კარგი ნაბიჯი იქნება.

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს". რა თქმა უნდა, საუკეთესო იქნებოდა, სააკაშვილი არჩევნებს არ დალოდებოდა და ორი წლის წინათ გაეკეთებინა ასეთი ცვლილებები მის გუნდში.

მთავარი ის კი არ არის, ვის გაუშვებს სააკაშვილი თავისი გუნდიდან, მთავარი ის არის, ვის მიიყვანს ძველების ნაცვლად. თუ საარჩევნო სიებში იგივე ნადირაძის ნაცვლად ჩაწერეს სვიმონ მასხარაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, ხერხეულიძეები, წიკლაური და ა.შ იცით რა გამოვა? იგივე, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე. ეს ხალხიც იგივე სამსახურს გაუწევს სააკაშვილს, რაც ძველმა ხალხმა გაუწია. აქ პრინციპული არის კადრების სწორი სელექცია, რასაც სააკაშვილის მმართველობის მთელი 4 წლის განმავლობაში, მე პირადად ვერ ვხედავ.

**– სააკაშვილის განცხადება-დაპირებებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისი დაპირება იძენს იმის შესახებ, რომ იგი ქვეყნის შემდეგი პრეზიდენტისათვის გაერთიანებული საქართველოს დატოვებას აპირებს. თქვენი აზრით, რას შეიძლება ეფუძნებოდეს პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილის ამგვარი თავდაჯერებულობა და ოპტიმიზმი? მისი ასეთი განცხადებები საარჩევნო კამპანიისთვის დამახასიათებელ მხოლოდ დაპირებას აშკარად არ ჰგავს.**

– შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილი შინაგანად მზად არის და მას მოფიქრებულიც აქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების რაღაც კომპრომისული გეგმა, რომელსაც არავის, უახლოეს გარემოცვასაც ჯერ არ უმხელს. მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრსაც.

მე ძალიან მეეჭვება იმ გზით რაიმეს მიღწევა, რომელიც აქამდე ხორციელდებოდა. იმის გამო, რომ ჩვეულებრივი პოლიტიკით, რომელიც დღემდე საჯაროდ მიმდინარეობს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, ეს არის გაერო, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ეუთოს უშედეგო მცდელობები, ამ გზით მიზნის მიღწევა არარეალურია.

საჭიროა რაღაც არაორდინალური, ძალიან გაბედული ნაბიჯის გადადგმა, რომელსაც, რა თქმა უნდა, სააკაშვილი ჯერ არ გაამხელს.

კიდევ ერთი მომენტი. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა პირდაპირ უკავშირდება რუსეთთან ურთიერთობის პრობლემას. ვერ გეტყვით, სააკაშვილს რა აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ ის, რომ იგი არ აპირებს ისევ გაყვეს იმ გზას, რომელსაც 13 წელი ჯერ შევარდნაძე, შემდეგ უკვე ახალი ხელისუფლების დიპლომატია მიყვებოდა, ნათელია. ამ გზის არაპერსპექტიულობაში ყველა დავრწმუნდით.

ამაში თვითონვე სააკაშვილიც დარწმუნდა. მან ერთხელ, ცხელ გულზე ისიც განაცხადა, რომ გაეროს არაფრისმომცემი რეზოლუციებით დავიღალეთო და გაეროსგან ჩვენ რეალური დახმარება გვინდაო. მან ეს ემოციურად განაცხადა, მაგრამ მას ეტყობა, რომ ფიქრობს და ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ვერ დაინახო, იმ გზით რომლითაც 13 წელია მივდივართ, ჩიხურ სიტუაციაში აღმოვჩნდით.

ვარაუდობენ, კოსოვოს პრობლემა მაისში გადაწყდება, თუმცა წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონს და ევროკავშირს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ, ახლა ფიქრობენ ეს გადაწყვეტილება როგორ შეფუთონ ისე ლამაზად, რომ მისაღები იყოს მთელი მსოფლიოსთვის. ამ ფონზე ჩვენი კონფლიქტების თემა სულ უფრო აქტუალური ხდება და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გადაწყვეტა ჩვენთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს.

⊙ ვარაუდი

# ქართული აკადემია: ეგზიტპოლები სამართლიანი და ობიექტური არ იქნება

**29 დეკემბერს ჭადრაკის სასახლეში „ქართული აკადემიის" ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, რომელზეც პროტესტი გამოითქვა ეგზიტპოლებისა და იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებმაც უნდა ჩაატარონ ეგზიტპოლები.**

შეხვედრის მონაწილეების მტკიცებით, ეგზიტპოლებს სახელისუფლებო ორგანიზაციები და არასამთავრობოები ატარებენ, შესაბამისად მათ მიერ ჩატარებული ეგზიტპოლები არ იქნება სამართლიანი და ობიექტური.

5 იანვარს, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, ტელეკომპანიების – საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი-2", „მზე" და აჭარის ტელევიზია – დაკვეთით ეგზიტპოლებს ოთხი ქართული ორგანიზაცია განახორციელებს.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების



კავკასიური ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი და საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ფონდი ეგზიტპოლის ჩატარებას მთელი საქართველოს მასშტაბით უზრუნველყოფს.

ეგზიტპოლის დამკვეთი ტელეკომპანიების მეშვეობით 5 იანვარს საზოგადოება 14:00 და 16:00 საათზე მიიღებს ინფორმაციას ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. არჩევნების დასრულებისთანავე, 20:00 საათზე, გამოქვეყნდება ეგზიტპოლის წინასწარი, ხოლო 23 საათზე საბოლოო შედეგები.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორმა გია ნოდიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათ შესთავაზეს ამერიკელ ექსპერტებსა და ასევე ოპოზიციურ პარტიებს, დააკვირდნენ ეგზიტპოლების ჩატარების პროცესს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

⊙ წკეპლიკა

# მშვენიერი გარდასახვა, ორი მინისტრი და ორი ანდაზა

**ერთ პრეზიდენტობის კანდიდატს ველარ იცნობ, ისე შეიცვალა: სულ აბრეშუმისა გახდა, რანაირად გინდა, იმნაირად გადაგასმევინებს ხელს, მოგაფერებინებს, გაკოცნინებს. სადღაა ისტერიული აყვირებები, წამოფეთქებები, მკვეთრი ჟესტიკულაცია.**

ჩვენს წინაშე წარმოდგა ლამაზი, მაღალი, ახოვანი კანდიდატი, მშვიდად მოსაუბრე, გულკეთილად მომღიმარი, კეთილგანწყობილი, მთხოვნელთა გამყოლ-გამომყოლი. არავითარი ჟარგონი ლაპარაკის დროს, აღარავითარი „გადავუვლით", „შევახრამუნებთ", „ჯიბეში ჩავისვამთ"... დიდრონი პორტრეტებიც კი სხვანაირი გაუხდა. ხალხი ავტობუსებს ხატებივით ემთხვევა...

ჰოდა, ძალიანაც მოსწრებულად შენიშნა ჩვენმა ერთმა კოლეგამ – ავირჩიოთ ეგ კაცი, ოღონდ მუდმივად გადამდგარიო...

ერთ შეხვედრაზე კი ამ გამოსწორებულ, „რეფორმირებულ" და „რესტავრირებულ" კანდიდატს ერთი იაღლიში მაინც მოუვიდა, ერთი არაკორექტულობა და ეგებ სულაც უტაქტობა მაინც



გაექცა – ტყუილად კი არ არის ზოგიერთი ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი.

რა და ასე განაცხადა – ჩემი არჩევის შემთხვევაში სამთავრობო ცვლილებებს მოვახდენ, ცვლილებები პოლიტიკურ გუნდშიც იქნება, ახალ სახეებს გამოვაჩენო. მინისტრებიდან კი მარტო ამ ორს არ უნდა შეეშინდესო, ეკასა და კობასო. (იმ შეხვედრაზევე მყოფი ერთი იუსტიციისა და მეორე დევნილთა და განსახლების შეფები იგულისხმაძ.

ახლა მე თქვენ გეკითხებით – ასეთი „მემორანდუმის" მომსმენი სხვა მინისტრები რა გუნებაზე დადგებოდნენ, „იმ" გაპრეზიდენტებამდე რა გულით, რა ხასიათით უნდა იმუშაონ, თუ მაინც „არგასაჩერებლები" არიან, ანდა ეკასა და კობაზე არ დაიბოლმებოდნენ? ის დალოცვილი კანდიდატი, ყველას-ყველას და, ახლადდაყენებულ განათლებისა და მეცნიერების ქალბატონ მინისტრს მაინც რას ერჩოდა, მოასწრო განა რამის გაფუჭება?...

... ასე გაჩნდა ორი ბლიც-ანდაზა: „ნუ გამოარჩევ ეკასა – აულესავენ ეკალსა"; „ნურც გამოარჩევ კობასა – დაუპირებენ კბენასა..."

ეს-უფროსი კაცის პატარა რჩევის „ფორმატით" სახეცვლილი კანდიდატისათვის. თუ მიიღებს და გაითვალისწინებს...

**თამაზ ეზანოიძე**

დღეს • საააკაშვილი თქვენთვის და თქვენი მომავლისათვის კი არ იბრძვის, არამედ საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, რათა თავი აარიდოს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულებებისათვის. მხოლოდ ჩვენ ყველას ერთად შეგვწევს ძალა, დავამარცხოთ დანაშაულებრივი რეჟიმი



◎ პოზიცია

# ზუმბა: ოპოზიციიდან ყველა მიყვარს, საააკაშვილის კი არა, ქართველების მხარდამჭერი ვარ

*მომღერალი ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა, მიხეილ საააკაშვილის აქტიური მხარდამჭერია. ის უშუალოდ იყო ჩაბმული წინასაარჩევნო კამპანიაში და მხარდამჭერების სიაშიც ერთ-ერთი პირველი ეწერა. თუმცა მან ამაში კორექტივები მაინც შეიტანა და „საააკაშვილის მხარდამჭერი“ „ქართველების მხარდამჭერად“ შეასწორა. მისი განმარტებით, დღეს ის იმიტომ უჭერს მხარს მის პოზიციას, რომ ქართველ ხალხს საუკეთესო მომავალი ჰქონდეს და მუდმივად ერთ ადგილზე არ იდგეს.*

**„დღეს ისეთი დრო დადგა, რომ სასწორის ერთ მხარეს საქართველოს ნათელი მომავალი და მისი სახელმწიფოებრიობა დაიდო, მეორეზე კი – ვერ ვიტყვი, რომ წარსულში დაბრუნება, თუმცა ერთი და იგივე ადგილის ტკეპნა და დროის ფუჭად ხარჯვა. ჩემთვის თვალნათლივია, რაც ამ ხელისუფლებამ ოთხი წლის მანძილზე შექმნა და გააკეთა. მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ქვეყანათა შორის საქართველოს გმირული წარსული და აწმყო აქვს და მინდა, რომ მომავალი უკეთესი ჰქონდეს.**

**მიხეილ საააკაშვილი იმ ადამიანად მიმაჩნია, რომელიც საქართველოს გააერთიანებს და ჯანსაღ სახელმწიფოდ აქცევს. არ უარვყოფ, რომ შეცდომებიც იყო დაშვებული, თუმცა შეცდომებს ხომ მხოლოდ ის უშვებს, ვინც მუშაობს?“**

თუმცა ზაზა კორინთელი ოპოზიციონერებისადმი კეთილგანწყობას არ მალავს და აღნიშნავს, რომ აქაც საკმაოდ ბევრი მეგობარი და ნათესავი ჰყავს, რომელთა მიმართაც ასევე დიდი პატივისცემითაა გამსჭვალული. ყველაფრის მიუხედავად, ის ამბობს, რომ მისთვის, ხელოვანისთვის და ამ ქვეყნის შვილისთვის, „იქითა“ და „აქეთა“ მხარეები არ არსებობს და ყველანი ერთნი არიან.



**„ჩვენ ისეთი საზოგადოება ვართ, რომ ასეთი რამ არ უნდა შეგვეხოს. პოლიტიკურ ამბიციებს არ უნდა გადავაყოლოთ ნათელ-მირონობა, დედმამიშვილობა, მეგობრობა და ა. შ. რაც შემიძლია ოპოზიციაზე ვთქვა, არის ის, რომ ხელისუფლებას ღირსეულ ოპონირებას უწევენ და მინდა, ამ თვალსაზრისით უფრო დაიხვეწონ. ყველა ძალიან მიყვარს. მინდა იმას მივაღწიოთ, რომ არჩევნებზე ერთად მივიდეთ და ყველამ ჩვენი პოზიცია გამოვხატოთ. არჩევნები რომ ჩაივლის, ყველაფერი დაწყნარდება და ცხოვრებაც ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება“.**

საზოგადოების დანაწევრებაში იგი არა პრეზიდენტს, არამედ მედიას ადანაშაულებს.

**„დღეს რომ ყველა პოლიტიზებულია, დრომ მოიტანა და ეს მედიის ბრალიცაა, რადგან ტელეეთერს და თემატიკის 90 პროცენტს პოლიტიკა განსაზღვრავს. ცხოვრებას ისეთ აწყობილ სახელმწიფოში ვისურვებდი, სადაც მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუ რომელი ლიდერი რომელს შეცვლიდა. თუმცა დღეს ცოტა სხვა დროა. ახლა ქვეყანა ყალიბდება. ამასთან, უამრავი შეცდომა დავუშვით, თუნდაც ბოლო 20 წლის განმავლობაში. ამიტომაც მივეცი ჩემს თავს იმის უფლება, რომ კონკრეტული და აქტიური პოზიცია გამომეხატა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე.“**

ზაზა კორინთელმა ცოტა ხნის წინათ, „მანიფესტიც“ გამოსცა, რომელშიც ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე თავისი შეხედულებები და მოსაზრებები ჩამოაყალიბა.

**„ყველა ჩვენგანმა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჯანმრთელი მომავალი შევქმნათ. ამისთვის ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ, ერთმანეთს დავეხმაროთ და არა მხოლოდ ვილაყბოთ და ერთმანეთი ვაკრიტიკოთ.**

**ისეთ ქვეყანაში მინდა ვიცხოვრო, სადაც ჩემს სფეროში მაქსიმალურად დამაფასებენ, სადაც ხშირად გავმართავ კონცერტს ჩემი საყვარელი მსმენელისთვის. დიდი ფინანსების უქონლობის გამო კონცერტის გამართვის შესაძლებლობა ხშირად არ მაქვს. ამიტომ ვისურვებდი, რომ ჩემი საქმით მეცხოვრა და წარმატებული ვყოფილიყავი, არა მარტო ხალხის სიყვარულით, არამედ ფინანსურადაც. ასეთი დრო კი მალე მოვა. რადგან მგონია, რომ ახლა უკვე ხარისხის შენებაზე გადავდივართ“.**

ზაზა კორინთელი ფიქრობს, რომ მთავრობის გადმოგდება და ხელისუფლების კიდევ ერთხელ ამ ფორმით შეცვლა პროგრესს ვერ მოიტანდა და ამიტომაც გადაწყდა არჩევნების ჩატარება.

**„არჩევნების გზა რომ გამოჩნდა, ძალიან გამიხარდა. 5 იანვარი თვითონ დაგვანახებს შედეგებს, რადგან ყველაფერი მაინც საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული. საააკაშვილის პიროვნებაში პროგრესს ნამდვილად ვხედავ. ძალიან მინდა, რომ ერთმანეთს გვერდში დავუდგეთ და შეცდომები აღარ გავიმეოროთ, ამჯერად თუ საააკაშვილი გაიმარჯვებს, 5 წლის შემდეგ ვის ავირჩევთ, მნიშვნელობა უკვე აღარ ექნება, რადგან ჩვენი ქვეყანა ფეხზე საკმაოდ მყარად იდგება. მე ამის მჯერა“,** – ასეთი ოპტიმისტური ნოტით დაასრულა მან სათქმელი, თუმცა წინასწარი პროგნოზირებისგან მაინც თავი შეიკავა.

**სოფიო გოგლიძე**

◎ განცხადება

# თითოეული ხმა ოქროდ გვიღირს, დარწმუნებული ვარ, არ შევცდებით არჩევანში

რამდენიმე დღის წინათ, ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ, ტელეფონით ვესაუბრე უწმინდესს და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მეორეს. ჩვენ არ შევხებივართ არჩევნების საკითხს. მაგრამ ამ საუბარმა მე მომცა ძალა განვაცხადო:

1. მე მივიღე გადაწყვეტილება, არ მოვხსნა ჩემი კანდიდატურა და გავაგრძელო ბრძოლა პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად. ბრძოლა იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ნამდვილად დემოკრატიული ქვეყანა, დამოუკიდებელი პარლამენტითა და სასამართლოთი.

2. მე ვადასტურებ საქართველოს მოსახლეობისთვის მიცემულ ყველა დაპირებას, რომელიც აღვწერე ეკონომიკურ პროგრამაში „შეხიდება, გარღვევა, გაბრწყინებული ქვეყანა“. უკვე 2008 წლის იანვრიდან და შემდეგი 18 თვის განმავლობაში მზად ვარ საკუთარი სახსრებიდან:

– დავიწყო თითოეული უმუშევრისთვის 50 ლარის გადახდა ყოველთვიურად.

– დავფარო საქართველოში მცხოვრები ყველა ოჯახის 100 კილოვატი ელექტრო ენერგიის ღირებულება, იმავე თანხობრივი მოცულობით გაზის მოხმარების ხარჯები და სრულად დავფარო წყლის მოხმარების გადასახადი.

– შევიძინო ყურძნისა და ციტრუსების 2008 წლის მოსავალი.

ამავდროულად:

მინიმალური ყოველთვიური ხელფასი საქართველოში 300 ლარი იქნება.

მინიმალური პენსია 120 ლარი.

ვეტერანებისათვის 150 ლარი.

ყოველ პირველ ახალშობილზე ოჯახში მშობლები მიიღებენ – 3000 ლარს, მეორეზე – 4000 ლარს და ყოველი მომდევნო შვილის დაბადებისას – 5000 ლარს.

აქვე საჭიროდ ვთვლი განვაცხადო:

ყველა ფარული ჩანაწერი, რომელიც გახმოვანდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, წარმოადგენს ხელისუფლების მიერ ინსპირირებულ პროვოკაციას და შეთითხნილია ჩემი დისკრედიტაციის მიზნით.

ასევე ვაცხადებ, რომ ხდება ხელისუფლების მიერ ჩემი ლიკვიდაციის მცდელობის მიჩუმათება, თუმცა ეს ფაქტი დადასტურებულია დოკუმენტურად და შესაბამისი მასალები გადაცემულია სკოტლანდ იარდში.

მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მიხეილ საააკაშვილის 2007 წლის 7 ნოემბრის ქმედებები სამართლებრივად შეაფასა როგორც დანაშაულებრივი.

„ჰიუმან რაიტს ვოტჩის“ დირექტორმა განაცხადა რომ: „საქართველოს ხელისუფლებამ გადააბიჯა ზღვარს... პოლიციის 7 ნოემბრის ქმედებები არ წარმოადგენდა კანონიერ ქმედებებს, რომელიც მიმართული მართლწესრიგის დასაცავად“.

მე მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას:

შეწყვიტოს ტერორი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

მე მოვუწოდებ საერთაშორისო ორგანიზაციებს:

ობიექტურად შეაფასონ ხელისუფლების ქმედებები.

მე მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას:

არ დანებდნენ დაშინებას, სიცრუესა და ტერორს;

არ მისცენ ხმა საააკაშვილს, ხალხი არ უნდა ენდოს მას, ვინც ზღვარს გადავიდა;

დააწესოს სამოქალაქო კონტროლი არჩევნებზე, არ დაუშვას ერის ნების ფალსიფიკაცია.

ყველა ობიექტური სოციოლოგიური გამოკითხვა აჩვენებს, რომ საააკაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა ამომრჩეველთა 20-25 პროცენტს არ აღემატება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი სხვა შედეგი საააკაშვილის სასარგებლოდ წარმოადგენს არჩევნების ფალსიფიკაციას.

მე მოვითხოვ, რომ ჩემი განცხადება გადაიცეს სრულად, ცენზურის გარეშე, განსაკუთრებით „რუსთავი 2“-ის, „მზის“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ.

საქართველოს მოქალაქენო!

საააკაშვილი თქვენთვის და თქვენი მომავლისათვის კი არ იბრძვის, არამედ საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, რათა თავი აარიდოს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულებებისათვის. მხოლოდ ჩვენ ყველას ერთად შეგვწევს ძალა, დავამარცხოთ დანაშაულებრივი რეჟიმი.

ჩვენ, ქართველები, ცოტანი ვართ, ამიტომ თითოეული ხმა ოქროდ გვიღირს, დარწმუნებული ვარ, არ შევცდებით არჩევანში.

**ბადრი პატარკაციშვილი**

3 იანვარი 2008 წელი

◎ თბილისი საახალწლოდ





მურად ალაშვილის ფოტო.

# ჩვენ

● კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა, და, პირიქით. ცნობილი გამონათქვამი „კოკას ყურს საითაც გინდა იქით გამოაბამ“, ცუდ მეკოკეს ეკუთვნის, რადგან ყურს თუ სხვაგან გამოაბამ, ტუჩი განზე დაგრჩება




## ◎ სათქმელი – გულახდილად!

*2007 წლის 26 დეკემბერს ქვეყნის ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში გაიმეორა დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედის“ საგანგებო განცხადება მაუწყებლობის დროებით შეწყვეტის შესახებ და სანუკვარმა მშვიდობამ დაისადგურა. იქვე გამოშვების წამყვანმა გვამცნო, რომ ქვეყანა გადაურჩა კონსტიტუციური წყობილების დამხობის საშიშროებას. უჩვეულოდ თვალში საცემი ის გახლდათ, რომ ეს ხელისუფლების განცხადება არ იყო, რადგან ფაქტია, რომ იმ მომენტში ასეთი კომენტარი წამყვანს არ გაუკეთებია. საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას კი საინფორმაციო გამოშვებაში, როგორც წესი არც ერთი წამყვანი არ ახდენს.*

*აქედან დასკვნა – ეს საერთო, კოლექტიური, მისაღები პოზიციაა. და კომფორტულიც. ამაზე კარგი რა უნდა იყოს. ყველა ერთნაირად ვიფიქრებთ, ყველა ერთნაირად აღვიქვამთ მოვლენებს, დავგმობთ მიუღებელი პირების განცხადებებს, ხოტბას შევასხამთ ძველ და ახალ ცნობად სახეებს. ერთნაირად შევაფასებთ სანქცირებულ ფარულ ჩანაწერებს, მტკიცებულებებს, რომელთაც გამოძიების დასრულების შემდეგაც კი სასამართლოსთვის წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალა არა აქვს. მაგრამ ხომ კარგია, როცა ვიცით ძიება რას იტყვის. მან ხომ ჩვენ მოგვანდო შეფასების უფლება. ხომ მშვენიერია, რომ ხელისუფლება ამაზე არც მას, არც ჩვენ არ გაგვიწყრება, რადგან ისიც ერთიანია სამად დაყოფის მიუხედავად. მათგან ერთი კი, ვინც ლეგალურად ამაზე უფლებამოსილია, აუცილებლად გაიზიარებს იმას, რაც დანარჩენ ორს და ჩვენ გვესიამოვნება.*

*იდილიაა, ... მაგრამ „დეჟავუ“!.*

აღარ არსებობს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედის“ მიერ ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების დამხობის პროვოცირების საფრთხე. კომპანია, რომელიც ჭეშმარიტების მქადაგებელ ტელემედიასივრცეში, უთანასწორო ბრძოლაში, ეულად ახერხებდა მცდარი საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის ფორმირებას. სამაგიეროდ იარსებებს ისეთი საინფორმაციო გადაცემები, რომლის შემქმნელები პერმანენტულად დაგვატკბობენ თავისი ვირტუალური ავტოპორტრეტებით: – „ჩვენ არ ვართ დამოუკიდებლები, არ ვართ ობიექტურები, ჩვენ ვართ დამოკიდებული თქვენზე“ (მე მგონი სტილი დაცულია). ეს იდუმალი – „თქვენზე“ შესაძლოა დამსგავსებოდა ინტრიგას, რაც დღევანდელი მსოფლიო მედიის და შოუბიზნესის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს და მიზიდულობის დამატებითი სტიმულატორია. მაგრამ სამოთხეს არ სჭირდება ინტრიგა. „თქვენზე“-ში ვიგულისხმებით „ჩვენ“, ქვეყნის ხელისუფლება, მოსახლეობა ქვეყნის შიგნით და გარეთ, ცოცხალი და მკვდარი სულები, და, რა თქმა უნდა, მთელი მედიაც, თუ მიხვდება და გაიზიარებს ბედნიერების უნივერსალურ ფორმულას - „არაობიექტურობა, არადამოუკიდებლობა და დამოკიდებულება „ჩვენზე“. რა სჯობს იმის ცოდნას, რომ საინფორმაციო სივრცე შენზეა დამოკიდებული. თუ ამ სანუკვარი ერთიანობის განცდით დამტკბარს, ფიქრებში ნეტარებას მიცემულს, დაგავიწყდება ტელევიზორის ჩართვა, არც არის პრობლემა, შენ ხომ იცი იქ რას იტყვიან. შეგიძლია არც არასოდეს ჩართო და მაინც ყველაფერი იცოდე, რა თქმა უნდა, თუ შენ გახდები „ჩვენ“. აი ბედნიერების ფორმულა, რომელიც არავისთვის გვენანება. მოიჩქარიან დამკვირვებლები მთელი მსოფლიოდან! დაე, გაიგონ, სად არის გზა, რომელსაც ტაძრისკენ მივყავართ! (რუსების გარდა, მათ ამ საიდუმლოს არ გავანდობთ). ასეთი გზა ჩვენს ქვეყანაში არაერთი ათასია, არანაკლებ ერთი ყოველ ათას ხუთას სულზე. ტაძრის კარიც ჩვენს ქვეყანაში უამრავია და ყველა 2008 წლის 5 იანვარს, დილის 8 საათზე გაიღება, საღამოს 8-ზე კი დაიხურება. ოღონდ უნდა მიხვდე, ტაძრის რამდენიმე კარიდან რომელია ერთადერთი რეალური და მთავარი, თორემ შეიძლება სხვა შეალო და უეცრად სხვაგანაც აღმოჩნდე. მაგალითად, ბნელ გვირაბში. როგორ ცდებოდა ერთი რომანის გმირი, როცა ფიქრობდა, რომ ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრა ვინმეს დაუჯერებლად შეიძლება მოჩვენებოდა. ის თავად იდგა იმ გვირაბში, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანაზე გადის და მისი წყალობით დღეს, „ჩვენ“ შეგვიძლია გავიგოთ საკუთარ სახლში (გვირაბის ბოლო წერტილში, ლონდონშიც კი) ვინ რას ამბობს „ჩვენზე“ და შევაჩეროთ მათზე „ჩვენი“ მზერა. თუ სიტყვებმა არ დაგვაკმაყოფილა, აზრებსაც გავიგებთ და სიტყვებსაც შევცვლით. „ჩვენ“ ესეც შეგვიძლია.

ერთად დავგმოთ ყველა, ვინც დამოუკიდებელია და ობიექტური, ვინც არ არის დამოკიდებული „ჩვენზე“!

მაგრამ „ჩვენ“ ხომ „ჩვენ“ არ ვიქნებოდით, შენდობის უნარი რომ არ გვქონოდა. „ჩვენ“ ვიცით, რომ დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტები ცდებოდნენ, რამდენიც არ უნდა ამტკიცონ, რომ ეს ასე არ არის. და შევუნდობთ კიდეც, თუ ისინი გახდებიან – „ჩვენ“! „ჩვენ“ შევუნდობთ ყველას, ვინც გახდება – „ჩვენ“!

შევუნდობთ იმას, ვინც სხვას უმღეროდა, თუ აწი ჩვენ გვიმღერებს. შევუნდობთ გლეხს, რომელიც სასოწარკვეთილი გადაყრის ან გაჩეხავს ჭირნახულს, იმიტომ, რომ თვლის, რომ მისი გენეტიკური ღირსება ამითი დაცული იქნება. შევუნდობთ იმ პირობით, თუ იტყვის, რომ ღირსების დასაცავად გასამრჯელო მიიღო. იმათაც შევუნდობთ, ვინც ჩაირეცხა, და მერე გაგვილიმა, და ვისაც „ჩვენგან“ მოხვედრია, თუ იტყვიან, რომ ღირსნი იყვნენ ჩარეცხვის და დასჯის. თუ იტყვიან, თუნდაც ასე არ ფიქრობდნენ, „ჩვენ“ შევუნდობთ! „ჩვენ“ დიდსულოვნები ვართ! ისინი კი ნელ-ნელა მიეჩვევიან საკუთარ სიტყვებს და გახდებიან „ჩვენ“. და შეიძლება სიცოცხლეშივე წმინდანებადაც ვაღიაროთ „ჩვენს“ სალოცავში, „იმედის“ შეჩერების დღეს რომ გავხსენით ერთ საჯარო დაწესებულებაში. თუმცა ეშმაკს არ სძინავს, არიან გამონაკლისებიც, ნაძირალები, ვინც შენდობას არ იმსახურებს. მათ სულსაც ამოვხდით! არსებობს არამიწიერი ცოდვები, რომელთა ჩამდენს „ჩვენ“ ვერ შევუნდობთ. ზოგი ამბობს, რომ არ უღალატებს მეგობარს, ზოგი საკუთარ სიტყვას, აზრს, სიმართლეს, რწმენას, დაღუპულთა ხსოვნას, საკუთარ თავს, ანუ უფალს, რადგან ფიქრობს, რომ უფალი ყველა ადამიანშია. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სიტყვებია! მათ თუ „ჩვენი“ გულისათვის სხაგვარად ლაპარაკი არ შეუძლიათ, ისინი „ჩვენ“ ვერასოდეს გახდებიან და შენდობაც არ ელით, არ ეკუთვნით.

სანამ ერთი ასეთი მაინც იქნება ამ ქვეყანაში, თავი მარტო რომ არ იგრძნოს, ჩემს ვალდებულებად ვთვლი ხმა მივაწვდინო. ვუთხრა, რომ მეც სწორედ ასეთი ვახლავარ, „მისნაირი ცოდვილი“. ვინც მიცნობს, იცის, რომ სენტიმენტალური არ ვარ და არც ხმამაღლა მიყვარს ლაპარაკი (ალბათ ასეთიც უნდა იყოს ჩემი პროფესიის კაცი). მომიტევეთ ამგვარი შესავალი, რადგან რაც ვთქვი, ზნეობას ეხება და სხვაგვარად ვერ შევძელი. ამ სტილში კიდევ მომიწევს ორიოდე სიტყვის თქმა. თუმცა ვთქვი მხოლოდ ის, რაც ისმოდა საჯაროდ, ოფიციალურად, რაც ავტორებს სადავოდ არ გაუხდიათ, ანუ ფაქტები, რამაც ასეთი აზრები გამიჩინა.

ახლა ცოტა ფაქტების იმ შეფასებების შესახებ, რომლებიც ნებისმიერი აზრისგან დამოუკიდებლად ცალსახა და ჯიუტია, რადგან მათ სამართლებრივი აქტები (ე.ი. შესასრულებლად სავალდებულო აქტები) იძლევა. მათში უხვად არის ზოგადი ნორმები (პრინციპები), რომლითაც ზოგჯერ მავანნი აპელირებენ და არაერთაზროვნად განმარტავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კითხვაზე იქ ეძებენ პასუხს, სადაც ის არ არის. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა, და, პირიქით. ცნობილი გამონათქვამი „კოკას ყურს საითაც გინდა იქით გამოაბამ“, ცუდ მეკოკეს ეკუთვნის, რადგან ყურს თუ სხვაგან გამოაბამ, ტუჩი განზე დაგრჩება.

– ჩვენს ქვეყანაში წინასაარჩევნო ციებ-ცხელება დასასრულს უახლოვდება. ქვეყნის ხელისუფალნი აცხადებენ, რომ მათ კანონმდებლობა არ უკრძალავს წინასაარჩევნო აგიტაციას და რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერას. ზოგიერთის აზრით კი ისიც დასაშვებია, რომ მან კანდიდატის დავალებები შეასრულოს. თავად განსაჯეთ:

მართალია ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ პირდაპირ, სიტყვასიტყვით არ კრძალავს ამ პირთა ამგვარ მოქმედებებს, მაგრამ მასში არსებობს ყველა ყურისთვის ნაცნობი ზოგადი დეფინიცია: „საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით“ (მუხლი 4. არჩევნების ძირითადი პრინციპები). იგივეს ამბობს ჩვენი ქვეყნის უზენაესი კანონის „ საქართველოს კონსტიტუციის „49-ე მუხლის პირველი პუნქტი. კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის და 39-ე მუხლების შესაბამისად (თანმიმდევრობით): „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (რომლის წევრია საქართველო) 2003 წლის პირველ სესიაზე (სტრასბურგი, 23 მაისი 2003 წელი) დამტკიცებული იქნა „საარჩევნო ნორმათა კოდექსი“, რომელიც მისივე თხოვნით შეიმუშავა და მიიღო ვენეციის კომისიამ 2002 წლის 5-6 ივლისს 51-ე სხდომაზე. ვენეციის კომისია – („ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“). „საარჩევნო ნორმათა კოდექსი“ შედგება „სახელმძღვანელო მითითებებისა“ და „განმარტებითი მოხსენებისაგან“. „სახელმძღვანელო მითითებების“ 2.3. მუხლის „ა“ პუნქტი ასეთი ტექსტისაა: „როგორც პარტიების, ისე კანდიდატებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შესაძლებლობათა თანასწორობა, რაც გულისხმობს ხელისუფლების ნეიტრალურობას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა წინასაარჩევნო კამპანია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ, კი სახელმწიფო მასმედიის მიერ საარჩევნო პროცესის გაშუქება. პარტიებისა და კანდიდატების სახელმწიფო დაფინანსება. „ვფიქრობ, მეტი კონკრეტიკა შეუძლებელია და ამ ნორმის ორაზროვანი გაგება წარმოუდგენელი. თუმცა იმ სკეპტიკოსებს, ვისაც ეჭვი მაინც გაუჩნდებათ, ვაცნობებ, რომ ამ კოდექსის მეორე ნაწილში „განმარტებითი მოხსენება“, მათთვის ამ მუხლის განმარტებაა მოცემული. რაც შეეხება კანდიდატისაგან ხელისუფლების მიერ მიღებული დავალებების შესრულებას, ამაზე შორს წასვლა არ გვჭირდება, რადგან ვფიქრობ, ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 76-ე მუხლის 1. ნაწილი ცალსახად იძლევა პასუხს ამ საკითხზე: „აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისათვის იმ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან“.

კვლავ დავუბრუნდეთ ბოლოდროინდელ ფაქტებს. კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, რომელიც კონსტიტუციის 25-ე მუხლის და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ამავე ნორმებით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის და შემდგომი ბატალიების ოფიციალურ მიზეზად მოგვევლინა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულით ასეა დაკვალიფიცირებული: „საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება“. ვფიქრობ, სისხლის სამართლის სპეციალისტები დამეთანხმებიან, რომ ამ დეფინიციაში ტერმინი „ძალადობით“ ყველა შესაძლო ვარიანტს ეკუთვნის და მის გარეშე ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ იქნება. ცნობილი ცნების, „საქართველოს კონსტიტუციური წყობილება“, სიტყვასიტყვითი განმარტება არც სისხლის სამართლის კოდექსში და არც კონსტიტუციაშია მოცემული, თუმცა მისი არსი კონსტიტუციის პირველ თავშია ჩადგული და სხვადასხვა კომპონენტს მოიაზრებს. სამწუხაროდ, მას შემდეგ არავინ გვამცნო კონსტიტუციური წყობილების რომელ ელემენტს ემუქრებოდა და რაში გამოიხატებოდა საფრთხე. აღარაფერს ვამბობ მისი ან სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით შეცვლასა და დამხობის მოწოდებაზე, რადგან დიდი მონდომების მიუხედავად, ამის დოკუმენტური დადასტურება ვერავინ წარმოგვიდგინა. ალბათ, სახელოვანი შტურმის დროს უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში (კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება) გაანადგურეს გმირებმა. შესაძლოა, ეს ნაბიჯები პოლიტიკურად გამართლებულია, მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ სამართლებრივად ცოტა უცნაურად მეჩვენა, ისე, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს ის მეთოდი, რომლითაც აღიკვეთა „საზოგადოებრივად საშიში ხასიათის“ შეკრება-მანიფესტაცია. ვფიქრობ, ასეთი შთაბეჭდილება დარჩა ნაჟეჟ-მოწამლულ-დანამულ და თვალთცრემლნადენ (უმორჩილესად ვთხოვ პატიებას) საქართველოს სახალხო დამცველსაც, რომელიც კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას უწევს ზედამხედველობას.“

ძალადობის ფაქტების გამოვლენასთან მიმართებით სიტუაცია შეიცვალა მოგვიანებით, სანქცირებული ფარული ჩანაწერების (მტკიცებულებების) საჯარო დემონსტრირების შემდეგ. მაგრამ ხელისუფლებაც და ხალხიც უკვე ფხიზლად იყო, სახელმწიფო კი დაცული. შეგახსენებთ საინფორმაციო გამოშვების წამყვანის განცხადებას კონსტიტუციური წყობილების დამხობის საშიშროებისაგან ქვეყნის გადარჩენის შესახებ. ამის შემდეგ, კი ეროვნული მედიის მრავალი, ცნობადი თუ არაცნობადი სახე შესაშური ერთსულოვნებით შეუდგა წარსული თუ მომავალი მოვლენების სამართლებრივ შეფასებას. მათ მოგვიანებით შეუერთდნენ სხვადასხვა სფეროს დამსახურებული თუ დაუმსახურებელი მოღვაწენი ერთი სლოგანით – „უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, თუ რა იგეგმებოდა, როდის დაიწყო, რა მიზნით და რა მეთოდებით“. „აღარავის ეპარება ეჭვი“, ე. ი. არც იმათ, ვისთვისაც არ უკითხავთ, ვისაც არ იცნობენ, არც ნებისმიერ თქვენგანს, არც მე, არც თავად დამგეგმავებს. არც სახალხო დამცველს? არც ხელისუფლებას? ე. ი. არც სასამართლოს? ეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ექსპერიმენტულ მოდელს წააგავს, ოღონდ გაცილებით დემოკრატიულს, რადგან ამდენი მსაჯულით ვერც ერთი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლება ვერ დაიკვეხნის. რეკორდულად მოკლე დროში საგრძნობლად ამაღლდა მოსახლეობის მართლშეგნება. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო სამართლის კორიფეთა მონაწილეობით გადაღებული იმ სამეცნიერო-პოპულარული ფილმების დემონსტრირების შემდეგ ასე ოპერატიულად რომ გავიდა ყველა ეთერში და რომლის საავტორო უფლებაზე დღემდე არავის აუღია პასუხისმგებლობა. მაგრამ რა ვუყოთ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფ

# კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია...

## ევროპის კონსტიტუციური მემკვიდრეობა და საქართველო


იხ. 8 გვ.



№ 1. პარასკევ, 4 იანვარი, 2008 წელი.

# ჩვენ

**შესაძლოა ვინმე ელის, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში დემოკრატი დამკვირვებლები, ჩვენს მაგივრად რაიმეს მოიმოქმედებენ ან შეცვლიან და მდგომარეობა გამოსწორდება. მათ ალბათ გავაკვირვებ, თუ ვეტყვი, რომ ეს ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა იქნება**




## სათქმელი — გულახდილად!

# კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია...

## ევროპის კონსტიტუციური მემკვიდრეობა და საქართველო

(მეშვიდე გვერდიდან)

ლებებს და იმ თითქმის მივიწყებულ ფრაზებს, ყველაფერს მიუხედავად, ჯიუტად რომ ფეხს არ იცვლის ჩვენი ნაირაირი კონსტიტუციის მე-40 მუხლიდან –

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

გასაგებია, რომ ეჭვი არავის გამოუთქვამს „დამოკიდებული" ტერმინის ეთერში, მაგრამ ამ მუხლის სხვა დებულებებმა რა დააშავა? ან იმან, რომ – „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა" (მუხ. 14), ან რომ, „საქართველოში საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია" (მუხ. 13, პ. 3.), რა მნიშვნელობა აქვს რა მეთოდებით, და ასე შემდეგ. არსებობს ასეთი დებულებაც, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით" (მუხ. 24. პ. 1.). სწორედ ამან მაფიქრებინა, რომ თუ ინფორმაციისა და აზრების (ზოგიც კულტურის) სხვადასხვაგვარად გავრცელებლები ასე კარგად ერკვევიან იურიდიულ საკითხებში, იქნებ იურისტსაც მეცადა მოსაზრების წერილობით გადმოცემა.

ახლა იმაზე, რასაც ერთნი ფაქტად მიიჩნევენ, ხოლო მეორენი უარყოფენ. მაგალითად, ზოგი ამბობს, რომ ამომრჩევლებს პირადობის მოწმობებს ართმევენ, აშინებენ ოჯახის წევრების დაჭერით, სამსახურიდან დათხოვნით, სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფით, ანუ არჩევნები უკვე ყალბდება. მე ვერცერთ მოსაზრებას ვერ დავადასტურებ, რადგან პოლიტიკურ პროცესებში არ ვარ ჩართული, მაგრამ ფაქტია, რომ ის, ვისაც ამას აბრალებენ, ყველაფერს უარყოფს. აქედან მხოლოდ ორი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი. ან მოარული ხმები სიცრუეა, ან ის, ვინც ამას სჩადის, ხმამაღლა ვერ აღიარებს, რადგან ეშინია. ეშინია იმათი, ვისაც თავად აშინებს და ემუქრება. ეშინია იმიტომ, რომ ხმებს ვერ მიიღებს და მერე ველარავის დააშინებს. მაშ რატომ უნდა შეეშინდეს ვინმეს მშიშრების? გაუგებარია. ამ ორი შესაძლებლიდან კი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ მოძალადე და გამყალბებელი, თუ ასეთი არსებობს, ვერ გაიმარჯვებს, საჭირო ხმების რაოდენობას ვერ დააგროვებს, რაც მისასალმებელია. ზოგი ალბათ იზიარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ხელისუფლება არჩევნების შედეგებსაც გააყალბებს, რადგან ძალადობის მიუხედავად ხმებს ვერ მიიღებს. რამდენადაც მხოლოდ ფაქტებზე ვმსჯელობ, დავუშვათ, რომ ეს ფაქტი აღმოჩნდა. დაიწერა დამკვირვებელთა დასკვნები, უარყოფითი, ან დადებითი (ზოგი აცხადებს, რომ გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ არ ელოდა). არჩევნები შედეგის გაყალბების შემთხვევაში, დასკვნა, როგორიც არ უნდა იყოს ის, არჩევნების შედეგს ვერ შეცვლის. ასეთი პრეცედენტი არ არსებობს. ამ შემთხვევაში შეიცვლება ჩვენი ქვეყნის მიმართ დემოკრატიული სამყაროს დამოკიდებულება, რადგანაც მისთვის დასკვნა, ისევე როგორც არჩევნების ფორმალურ შედეგებს, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ფაქტი – იყო თუ არა არჩევნები დემოკრატიული? რადგან, „ევროპის კონსტიტუციური მემკვიდრეობის, აგრეთვე ევროპის საბჭოს სამი უმთავრესი საყრდენიდან ერთ-ერთის, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობასთან ერთად დემოკრატია წარმოადგენს. დემოკრატია ვერ იარსებებს იმ ძირითადი პრინციპების შესაბამისად ჩატარებული არჩევნების გარეშე, რომლებიც არჩევნების დემოკრატიულობას განაპირობებს" (კვლავ საარჩევნო ნორმათა კოდექსის განმარტებითი მოხსენება, 1.1. მუხ. სტრასბურგი. 23. 05. 2003.). ეს გულისხმობს იმას, რომ, მთავარი არ არის ფორმალური დეკლარირება დემოკრატიული პრინციპების აღიარებისა, ამ პრინციპებით არჩევნებისა და შედეგების გამოცხადებისა, თუნდაც არაობიექტური და დამოკიდებული მედიის მეშვეობით, ანუ როგორც აღვნიშნე, მთავარია ფაქტი. ფაქტი კი ჯიუტია. მას შეიძლება სახელი შეუცვალო, მაგრამ ის მაინც ფაქტად დარჩება. მისი დამალვა (თან ასეთი მასშტაბურის) საინფორმაციო რევოლუციის ეპოქაში თითქმის შეუძლებელია. ფაქტები – ინფორმაცია, როგორც ცნობილია, დღეს ყველაზე ძვირფასი, უნიკალური საქონელია. ის, როგორც არ უნდა შეფუთო, მისი არსი და ფასი არ იცვლება.

რას შეცვლის არჩევნების არადემოკრატიულობა? დემოკრატიული სამყაროსთვის არაფერს. ჩვენთვის კი ყველაფერს, უნდობლობას, ფინანსური დახმარებების შეწყვეტას. მხოლოდ ბოლო წლები ვახსენოთ, როგორიცაა, მაგ: სასესხო ხელშეკრულება გერმ. ფედ. რესპ. და საქ. შორის 7.500.000. ევროს გამოყოფაზე (19.05.2003.); საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის 11.000.000. პ. ე. გამოყოფაზე. (16.07.2003); სასესხო ხელშეკრულება რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკთან 17.0739.043.17. ევროს გამოყოფაზე ქ. ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის. ხელისუფლება ამერიკის მთავრობასთან 11.100.000. აშშ. დოლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო საქონლის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (05.06.2006.); სასესხო ხელშეკრულებები გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაციისთვის, 25.000.000. ევროს და 5.112.918. ევროს გამოყოფაზე. შესაბამისად (28.12.2005.) და. (30.06.2005.); საერთაშორისო განვითარების ასოციაციასთან ენერგეტიკის სფეროსთვის 2.500.000. პ. ე. გამოყოფაზე. (10.08.2004.); რა თქმა უნდა, უამრავი ხელშეკრულება აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობის და სხვა სფეროში; ხელშეკრულებები თბილისის გზების რეაბილიტაციაზე ქუვეითთან 5.000.000 ქ. დ.-ის გამოყოფაზე. (22.12.2006.); საერთაშორისო განვითარების ასოციაციასთან 13.800.000. პ. ე. გზების რეაბილიტაციაზე (10.08.2004.) და უამრავი სხვა საინვესტიციო პროექტი. დახმარების შეწყვეტა ნიშნავს, რომ ქვეყანაში აღარ შემოვა ის სახსრები, რითაც ბოლო პერიოდში დაიგო გზები, დაფინანსდა ენერგოსისტემა, გარდაისახა ფასადები, შეიარაღდა ჯარი, გაიზარდა ქვეყნის ფისკალური მაჩვენებლები და ზოგის პირადი შემოსავლებიც. ესეც ფაქტია. ეს კი გამოიწვევს დაპირებული სოციალური პოლიტიკის ვერგანხორციელებას, კერძო ინვესტიციების არშემოდინებას და არსებულის გადინებას, ინფრასტრუქტურის დაბერებას, ქვეყნის უკიდურეს გაღატაკებას, პენსიების და საჯარო მოსამსახურეთა (მათ შორის ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა) ხელფასების ვერგაცემას. ე. ი. ქაოსს და უმართავობას, ძალაუფლების დაკარგვას. აქედანაც ერთი მარტივი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს არჩევნების გაყალბება. ესეც მისასალმებელია.

შესაძლოა ვინმე ელის, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში დემოკრატი დამკვირვებლები, ჩვენს მაგივრად რაიმეს მოიმოქმედებენ ან შეცვლიან და მდგომარეობა გამოსწორდება. მათ ალბათ გავაკვირვებ, თუ ვეტყვი, რომ ეს ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა იქნება. დემოკრატიულ სამყაროს, ისევე როგორც ჩვენ, ნამდვილად სურს, რომ ჩვენ მისი ნაწილი გავხდეთ, ამიტომაც გვეხმარება, როცა ჩვენი სჯერა. მაგრამ იძულებით არაფერი გამოვა. ძალით ხომ ვერ აქცევ უგუნურს გონიერად, ბოროტს კეთილად, ნებას ვერ შეცვლი, მხოლოდ ბრმად დაიმორჩილებ. ფაქტი კი ფაქტად დარჩება. დემოკრატიულმა სამყარომ შეიძლება მხოლოდ განსხვავება დაგანახოს, არჩევანი კი თავად უნდა გააკეთო. და თუ დარწმუნდა, რომ გულწრფელი ხარ, ხელსაც გამოგიწვდის. თუ ვცდები, ვფიქრობ დემოკრატები მომიტევებენ, რადგან ისინი სიტყვისა და აზრის (თუნდაც მცდარის) თავისუფლებას პატივს სცემენ.

დღეს ჩვენში დიდი დაპირისპირებაა პოლიტიკურ არენაზე. ვინ არის მართალი, დრო გვიჩვენებს. ფარდობითობის მიუხედავად, მას ერთი სასარგებლო თვისება აქვს. რაც უფრო შორდები მოვლენებს, მით იკვეთება მათი მნიშვნელობა, და თუ ეს მთელ ერს ეხება, ყველაფერი არაარსებითი თანდათან ქრება, ერი თანხმდება და ისტორიული მოვლენა ფაქტად იქცევა (თუმცა დროსავით ფარდობით ფაქტად). ალბათ არ არის გასაკვირი, რომ დემოკრატია, როგორც სოციალური მოვლენა განვითარებას მოითხოვს და აღიარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც ხანგრძლივი დამკვიდრების პროცესის შედეგია. ამიტომ გაგვიგებენ ჭეშმარიტი დემოკრატები, ჩვენმა ერმა ასე სწრაფად თუ ვერ აითვისა ყველაფერი. ის, რომ არც ერთ პოლიტიკურ სპექტრს არ ვეკუთვნი, ახლა დავადასტურებ და ალბათ ბევრის რისხვასაც გამოვიწვევ. საოცარი პოლიტიკური გამჭრიახობის და ინტუიციის მქონე, ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ყოველთვის გრძნობდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მაჯისცემას. სწორედ ამიტომ მიხვდა როდის იყო მზად სამყარო რკინის ფარდის ჩამოსაშვებად, ევროპა – ბერლინის კედლის დასანგრევად და გასაერთიანებლად, ს.ს.რ.კ. კი დასაშლელად, და ამაში თავისი წვლილიც შეიტანა, რაც მსოფლიომ დაუფასა კიდეც. ვფიქრობ, მას არ გაუჭირდებოდა იმის მიხვედრა, იყო თუ არა მზად ჩვენი ქვეყანა რეალური, ფაქტიური დემოკრატიისათვის. ალბათ ჩათვალა, რომ არა. ძალით კი, როგორც ითქვა, დემოკრატიას ვერ მოიყვან. მხოლოდ სახელს დაარქმევ, დიდ ტკივილს მიაყენებ ხალხს და სასურველ შედეგს ვერ მიიღებ. ძალადობა ძალადობას შობს. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ახლა კი ჩვენს მოსახლეობას დიდი გამოცდა ელის. მან, და არა რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ უნდა დაუმტკიცოს დემოკრატიულ სამყაროს, რომ ის უკვე მისი ღირსი და რეალურად მისი ოჯახის წევრია.

შესაძლოა, ვცდები, როცა ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს გაყალბება, რომ მშიშრების არავის უნდა ეშინოდეს. მაგრამ ამ საკითხში შეცდომა იმას ნიშნავს, რომ არ გვაქვს დემოკრატიული სახელმწიფო, არც მზად ვართ დემოკრატიისთვის და ჩვენს მოსახლეობას კიდევ ერთ ხანს გაუჭირდება. რას იზამ, ყველამ თავის ჯვარი უნდა ატაროს. ამ შემთხვევაში გაუჭირდება ხელისუფლებასაც, დიდხანს ველარ შეძლებს ქვეყნის მართვას და ცუდ დროს მიატოვებს. შემდეგ რაღაც კვლავ შეიცვლება, უფრო მძიმედ, მაგრამ ალბათ უკეთესობისკენ. ეს უკანასკნელი, მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია, ვარაუდი, აზრი და არა ფაქტი, არც ნორმა, ამიტომ სავალდებულო არ არის, თუმცა არც დასჯადია.

ეს წერილი ანონიმური რომ არ გამოვიდეს, რამდენიმე ფაქტი ჩემს შესახებ ბიოგრაფიის ბოლო წლებიდან. (ჩემთვის სასიამოვნო ფაქტები):

საქართველოს პრეზიდენტის 25.06.1999. №403 ბრძანებულებით დავინიშნე თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ, სადაც პირველი ინსტანციის წესით, კოლეგიურ შემადგენლობაში ვიხილავდი ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან წარმოშობილ, მსხვილ კერძო და ადმინისტრაციულ დავებს, სარჩელებს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საქართველოს საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე და სხვა საქმეებს. 2001 წელს მივიღე ახალი წლის მოსალოცი ბარათი სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ინიციატორის, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარისაგან, სადაც ის აღნიშნავდა, რომ „იმედები, რომელსაც ჩემზე ამყარებდნენ, სავსებით გამართლდა". მოგვიანებით მანვე, უკვე იუსტიციის მინისტრის რანგში, პარლამენტის სხდომაზე ერთ-ერთ სანიმუშო მოსამართლედ მომიხსენია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთა დასახელების შემდეგ. 2003 წლის ნოემბრის არჩევნების ჩატარების შემდეგ, პირველად ჩვენს საარჩევნო ისტორიაში, წილად მერგო ერთ-ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების წერილობით ჩამოყალიბება (სხვათა შორის, რევოლუციამდე). ყოფილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის და იუსტიციის მინისტრის, უკვე საქართველოს პრეზიდენტის 29.11. 2005. №971 ბრძანებულებით გავთავისუფლდი თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და ჩავირიცხე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში. ჩემთვის ნაკლებად სასიამოვნო ფაქტი. მოსამართლის პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბევრ უარყოფით გამოხმაურებებთან ერთად, მახსოვს საზოგადოების ცნობილ მოღვაწეთა, მეწარმეთა, კულტურის, მწერალთა თუ კომპოზიტორთა კავშირების წევრთა, მეცნიერების (ბ-ნი. ლ. ბერძენიშვილი) და სხვა სფეროს წარმომადგენელთა სასიამოვნო, გულისხმიერი შეფასებები. 2000 წელს ჟურნალ „გზის" ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა 1993 წლის სექტემბრის მიწურულს, აფხაზეთში შემთხვევით გადაღებული ფოტოსურათი, რომელსაც შემდეგში მიაგნო ამავე სურათზე გამოსახულმა, ბატონმა რეზო ესაძემ და სითბოთი ავსებულ წერილთან ერთად გამოაქვეყნა. წერილში ის სთხოვდა გამოხმაურებას სულ ხუთი წუთით შეხვედრილ ბიჭებს, თუკი ვინმე ცოცხალი აღმოჩნდებოდა. როგორც ვიცი, მაშინ ეს არავის გაუკეთებია. ვფიქრობ, ყველას მოერიდა. ახლა ვისარგებლებ შემთხვევით და ვეტყვი, – ჩემო ძვირფასო ბატონო რეზო, იმ ბიჭებიდან უმეტესობა ცოცხალია და ყველას უყვარხართ. მე კი ცენტრში ვარ, ჩაცუცქული.

2004 წელს პატივი მქონდა შევხვედროდი ერის სულიერ მოძღვარს, მისივე მიწვევით, მისივე რეზიდენციაში და მისივე ხელიდან მიმეღო ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ცხოვრებაში, – ყველაზე სასიამოვნო და დაუვიწყარი ფაქტი, თუმცა ვფიქრობ, ამას ყველაზე ნაკლებად ვიმსახურებდი იმათგან, ვისთან ერთადაც იქ აღმოვჩნდი. ცუდის გახსენება აღარ მინდა, შობა-ახალი წლის დღეებია. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა საახალწლო სურვილების ასრულებაში თითოეულ ოჯახს შეუძლია წვლილის შეტანა, ან პირიქით. როგორც უწმინდესმა და უნეტარესმა ახლახან აღნიშნა, უფალმა სიბრძნე მისცა ქართველ ერს. ამდენად, ალბათ წელი ფეხბედნიერი იქნება.

თუ ვინმეს გული ვატკინე, გულწრფელად პატიებას ვთხოვ, რისი იმედიც მაქვს, რადგან ჩვენ მაინც ერთნი ვართ და ერთი საქმე უნდა ვაკეთოთ. ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგვითენებოდეს. სიყვარულით გილოცავთ ყველას, „განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა". იმედი ნუ მოგვიშალოთ ღმერთმა. ყველაფერი კარგად იქნება!

**დავით თოდრაძე.**

*P. S. აქვე მინდა საიუბილეო თარიღი მივულოცო ჩვენი ერის ჭეშმარიტ წინამძღვარს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს.*

*დ. თ.*

№ 1. [illegible] 4 იანვარი. 2008 წელი.

ჩვენთან დღესდღეობით სწორედ ინფლაცია მუშაობს და არა ეკონომიკური პოლიტიკა. ქართული პარადოქსის ერთ-ერთი არსებითი თვისება ისიც გახლავთ, რომ მთავრობამ ამდენი ტრაბახისა და ბაქიბუქის მიუხედავად, დღემდე ვერ შექმნა ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც, ბუნებრივია, გაალატაკა ხალხი და „გაამდიდრა“ ინფლაცია

◎ თბილისი საახალწლოდ



მურად ალაშვილის ფოტო.

◎ ეკონომიკური სასწაული

# ინფლაცია... ჩვენი სიმდიდრეა?!

## პარადოქსია თუ რეალობა?

**ყველა ქვეყანა თავისებურად მდიდარია. საქართველო, მაგალითად, სახელგანთქმულია თავისი მინერალური წყლებით და თვალწარმტაცი კურორტებით, მეზობელი აზერბაიჯანი კი ნავთობითა და გაზით. ჩვენ არა გვაქვს ქუვეითივით და აზერბაიჯანივით ნავთობის მდიდარი საბადოები, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს ინფლაცია, რომლის ეკონომიკურმა ეფექტმა ბოლო პერიოდში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.**

ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს მთავრობა ინფლაციის მიღწევებით თავს იწონებდეს. იგი ამაყობს წარმატებული რეფორმებით, ახლად გაყვანილი გზებითა და ზამთარ-ზაფხულ მოჩუხჩუხე შადრევნებით, მაგრამ რატომღაც უკმაყოფილოა ინფლაციური ბუმით, რომელმაც ოფიციალური მონაცემებით შარშან 12 პროცენტი შეადგინა, ხოლო არაოფიციალური წყაროებით 20 პროცენტს ალარაფერი უკლია. სავარაუდოა, რომ ინფლაცია მიღწეულს არ დასჯერდება და წლეულს გაცილებით მაღალ მიჯნებს წაეპოტინება.

არიან ადამიანები, მათ შორის ცნობილი მეცნიერები და ეკონომიკური ექსპერტები, რომლებსაც ქვეყანაში გაჩენებული ინფლაციის ფონზე საქართველოს ეკონომიკური მიღწევები რაღაც გაზვიადებულად, მე ვიტყოდი, პარადოქსულადაც კი მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში ისინი ეყრდნობიან საქვეყნოდ გახმაურებულ ფაქტს, როცა საქართველომ ბიზნესგარემოს განვითარების თვალსაზრისით მსოფლიო ბანკის რეიტინგში საპატიო მეთვრამეტე ადგილი დაიკავა და სულაც არ დაიმორცხვა, უკან ჩამოიტოვებინა ევროპის ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნები, როგორიც გახლავთ გერმანია, საფრანგეთი და იტალია. ამას კიდევ თვალს ავარიდებდით, ამბობენ ისინი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რაც პრეზიდენტის დასაქმების პროგრამის გამოცხადებას მოჰყვაო. იგულისხმება ის წყვეტა-ჭყლეტა, რაც დასაქმებამდე ორასლარიანი „სტიპენდიის“ მისაღებად გამართულ დამშეული ხალხის რიგებს მოჰყვა.

პარადოქსების მოყვარულთ საკუთარი თვალსაზრისის დასასაბუთებლად სხვა არგუმენტებიც არ ავიწყდებათ, უპირველესად კი ლარის კურსის გამყარება – იქნებ ვინმემ აგვიხსნას, რანაირად ახერხებს ლარი გამყარებას, როცა ქვეყანაში ინფლაქცია მძვინვარებსო. პარადოქსულ მოვლენად მიაჩნიათ თვით დასაქმების პროგრამა, რომელიც, მათი აზრით, ყოვლად უშედეგო, არაფრისმომცემი პროცესია. ეს გახლავთ ერთჯერადი აქცია, რომელიც ვერც უმუშევრობის პრობლემას გადაჭრის და ვერც ინფლაციისას, პირიქით, ამ უკანასკნელს კიდევ უფრო მეტად წაახალისებსო.

ლარის კურსის მკვეთრი გამყარება რომ ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის ცხოვრების დონეზე უარყოფითად მოქმედებს, ამას ვერ უარყოფს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძეც. მისი აზრით, ეს უპირველესად აისახება ქართულ ექსპორტზე, რომელიც სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს, იმპორტი კი 75-ს. იმპორტის ხარჯზე ცხოვრება კი, არავისთვის არ გახლავთ საიდუმლო, რომ მათხოვრობის ტოლფასია. ამიტომაც იქცა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღატაკად და მათხოვრად, რომელმაც არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის ერთადერთ საშუალებად ხელისუფლების შეცვლა განიზრახა.

რამდენად რეალურია ეს განზრახვა, ამ დღეებში გამოჩნდება, მანამდე კი ინფლაციამ საქართველოში თითქმის ყველა ოჯახს მიუკაკუნა. გადარჩნენ მხოლოდ საერთო სიღატაკის ფონზე უზომოდ გამდიდრებული, კორუფციაში ყელთამდე ჩაფლული მსხვილ-მსხვილი სახელმწიფო მოხელეები და სხვადასხვა მაქინაციებით გაზულუქებული სუბიექტები, რომელთა ფულით გაძეძგილი ჯიბეები საახალწლო ბაზრის ცეცხლმოკიდებულმა ფასებმა ოდნავადაც ვერ შეარხია. თქვენ წარმოიდგინეთ, ინფლაციის მსახვრალ ხელს ვერ დაემალნენ ის ოჯახებიც (ასეთთა რიცხვი კი 300 ათასზე მეტიაძ, რომლებიც ფულად დახმარებას დოლარებში საზღვარგარეთ სამუშაოდ გადახვეწილი ნათესავებისა და ახლობლებისგან იღებენ, და ის ფიზიკური პირებიც, რომლებსაც თავიანთი დანაზოგი ასევე ხვლიკისფერი ვალუტით აქვთ შენახული ბანკებში.

გაუფასურებული დოლარი ყოველდღიურად კარგავს ერთდროს აღიარებულ რეიტინგს საერთაშორისო ბაზარზე და მასთან ერთად სულ უფრო უფასურდება იმავე ხვლიკისფერ ვალუტასთან ნოკდაუნებით „გამყარებული ლარი“, რომელიც ჯიბეში თანდათან მძიმდება, მისგან შენაძენი პროდუქცია კი გეომეტრიული პროგრესიით მცირდება და მსუბუქდება. ამას, რა თქმა უნდა, ნაკლებად ან საერთოდ ვერ გრძნობენ უცხოელი ეკონომიკური ექსპერტები და მიმომხილველები, რომლებიც ფიქრობენ, რომ, რადგან ქართველმა მომხმარებელმა ერთსა და იმავე პროდუქციაში 2007 წელს ორჯერ უფრო მეტი გადაიხადა, ვიდრე 2004 წელს, მისი ცხოვრების დონეც შესაბამისად ამაღლდა.

არ არის ასე ეს, ბატონებო, როგორც ასეთ შემთხვევაში დათა იტყოდა, თუთაშხია. ამას უბრალო ეკონომიკის ენაზე ინფლაციის დამანგრეველ შტორმს თუ დავარქმევთ, უფრო გამართლებული იქნება, ვიდრე ცხოვრების გამაუმჯობესებელ ტალღას. ინფლაცია ინფლაციაა, ცხოვრება კი ცხოვრება, რომლის დონესაც სწორად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა ეწევა და არა ბაზარზე გაზაფხულის წყალდიდობასავით მოვარდნილი ფასების ზრდის ბუმი.

ჩვენთან დღესდღეობით სწორედ ინფლაცია მუშაობს და არა ეკონომიკური პოლიტიკა. ქართული პარადოქსის ერთ-ერთი არსებითი თვისება ისიც გახლავთ, რომ მთავრობამ ამდენი ტრაბახისა და ბაქიბუქის მიუხედავად, დღემდე ვერ შექმნა ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც, ბუნებრივია, გაალატაკა ხალხი და „გაამდიდრა“ ინფლაცია.

შევინარჩუნებთ ამ „სიმდიდრეს“ თუ სიღარიბის გაქრობასთან ერთად, რასაც მომავალი მთავრობა დაბეჯითებით გვპირდება, მასაც დავკარგავთ? გააჩნია თავად მთავრობა რომელ გზას აირჩევს – ისევ ტყუილი დაპირებებისა და სიყალბისას, თუ ქვეყნის რეალური ეკონომიკის შენებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისას. თუ „ტრადიციულ“ გზას არ გადაუხვია, კვლავ ინფლაცია გამდიდრდება (ცნობილი მეცნიერი-ეკონომისტის ლადო პაპავას პროგნოზით, მისი „დივიდენდები“ წლეულს 20 პროცენტიდან 30-40 პროცენტამდე გაიზრდებაძ, ხოლო თუ საწინააღმდეგო დინებით იარა, სიღარიბე დამარცხდება.

ღმერთმა ინებოს!

**ოთარ ხუციშვილი**

◎ გადავირიეთ და ეგ არის!..

## 1. არჩევნები თურმე ჩატარებულია?!.

***– კულტურის სახლში ის იყო ერთიანი ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრა უნდა დაწყებულიყო, – ამბობს გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატის ქარელის რაიონული შტაბის ხელმძღვანელი სოსო საზანდრიშვილი, – რომ ხალხით გაჭედილ დარბაზში შეზარხოშებული მამაკაცი შემოვარდა ყვირილით „მიშა, მიშა!“ მისმა აგრესიულმა ქცევამ დამსწრეთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. ლონისძიებას მუშტიკრივის აკომპანემენტით რომ არ ჩაევლო, ადგილიდან წამოდგა ორი თუ სამი ახალგაზრდა და დაუპატიჟებელი სტუმარი გარეთ გააბრძანეს. შეხვედრა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო.***

იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია გაერთიანებულ ოპოზიციაში, კულტურის სახლში შეკრებილთ უამბეს კობა დავითაშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ.

გორში კი, კინოთეატრ „გამარჯვების“ დიდმა დარბაზმაც ვერ დაიტია გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის ყველა მსურველი. თავისი საქმე გააკეთა წინა დღეებში ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის მიერ მოწყობილმა თეატრალიზებულმა მსვლელობამ, რომელიც მოქალაქეებს ლევან გაჩეჩილაძის თანამოაზრეებთან შეხვედრაზე იწვევდა.

ამომრჩევლების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრები – საქართველოს პარლამენტის წევრები თეო ტლაშაძე და გია თორთლაძე, კონსტანტინე გამსახურდია, რესპუბლიკური პარტიის გორის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით რაზმაძე და სხვები.

შეხვედრაზე გორის სახელმწიფო თეატრის ყოფილმა მმართველმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა რამაზ იოსელიანმა მოძრაობის – ერთიანი საქართველო – თავკაცებს გადასცა წმინდა მიხეილის ხატი, რომელიც მეუფე იობმა წმინდანის ხსენების დღესთან დაკავშირებით საჩუქრად გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს და რომლის მიღებასაც, როგორც რამაზ იოსელიანმა თქვა, პრეზიდენტმა თავი აარიდა. ხატი ბოლო ორი წლის განმავლობაში რეჟისორთან ინახებოდა.

გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრას ინციდენტის გარეშე არც კასპში ჩაუვლია. საქმე ის არის, რომ 27 დეკემბრისთვის დაგეგმილი ეს ღონისძიება რაიონის გამგეობამ ოპოზიციის საარჩევნო შტაბს 2008 წლის 27 ოქტომბრისთვის (!ძ გადაუტანა. მეტიც, გამგეობის აზრით, საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები რახანია უკვე ჩატარებულია... 2005 წლის 5 იანვარს (!?ძ. გვინდა გვჯეროდეს, რომ თარიღების ეს აღრევები, ანუ ლაფსუსები, კასპის გამგეობაში გაერთიანებული ოპოზიციის შტაბისადმი გასაგზავნი წერილის შედგენის დროსაა დაშვებული, მაგრამ საქმიანი ქაღალდი, რომელზეც რაიონის გამგებელი აწერს ხელს, ვინმემ ზერელედ მაინც ხომ უნდა წაიკითხოს, რათა სასაცილო მდგომარეობაში არავინ ჩავარდეს.

## 2. მომცემ ხმას, მოგცემ ფქვილს!

**– არა და არა, – ვეუბნები ჭაღარაშერეულ მამაკაცს, ქურთუკი რომ გაუღეღავს და არად აგდებს ცივი ქარის ქროლას, – ნუ აყვები ჭორებს, კაცი ხარ და არ შეგშვენის. ამ ხელისუფლებას თავისი ცოდვები ეყოფა, შენც რომ არ მიუსართო.**

– მაშ, საიდან იციან, რომ გია მაისაშვილს უნდა მივცე ხმა? – თავისას მიერეკება ჩემი ოპონენტი, გორის კულტურის სასახლის ფართო კიბეებზე შემდგარა და აქეთ-იქით იყურება, თითქო თანამოაზრეებს ეძებსო, მაგრამ ქუჩაში გამვლელებს მისთვის არ სცალიათ, ყველას თავის საქმეზე მიეჩქარება. – მითქვამს და გავიმეორებ: როგორც კი ჩემი არჩევანი გაიგეს, ფქვილზე უარი მითხრეს, გათავდაო. არ გჯერათ? წაღით, ნახეთ, წმინდაწყალზეც, ციხისუბანშიც ფქვილის გაცემა ყველგან შეჩერებულია.

**– მაშ ფქვილს აღარავის აძლევენ?**

– მარტო იმათ, ვინც პრეზიდენტყოფილს მისცემს ხმას. შეიძლება, შეშის ვაუჩერებიც გამოაყოლონ.

მეც მივდივარ და ვკითხულობ. შეშის ვაუჩერებზე აღარაფერს ვამბობ, ქალაქში მხიარული ანეკდოტების თემა გახდა. გორში ნაციონალების საარჩევნო შტაბი შეჭირვებულმა ხალხმა ლამის დღეში ცხრაჯერ იერიშით აიღოს – შეშა ყველას არ ჰყოფნის. ახლა, მუხლებამდე თოვლში ტყეში ფიჩხისთვისაც არავინ შევა, გზისპირებზე მოჭრილი ხეები კი უკვე გათავდა. მოკლედ, ხელისუფლების დაპირებებით უფრო „ვთბებით“.

ფქვილს რაც შეეხება: აღმოვაჩინე, რომ ის ქურთუკიანი მამაკაცი თავის ეჭვებთან მარტო არ ყოფილა. გორში ბევრს სჯერა, რომ თუ ხუთ იანვრამდე ფქვილი არ დაარიგეს, მერე უკვე მშვიდობით, ან ფქვილიო, ან პრეზიდენტიო. ან ორივე ერთად.

– ჯერჯერობით, – მეუბნება გორის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ხმალაძე, – ხელისუფლებას ფქვილის ფული არ ჩაურიცხავს და ეს მცირე შეფერხებაც ამის გამოა. დღეს-ხვალ ყველაფერი მოგვარდება. უფქვილოდ არავინ დარჩება.

მე ზვიად ხმალაძის მჯერა.

\- - - - - - - - - - - - -

ქატო იქა, ფქვილი აქა.

**გურამ ვაშაკიძე**

№ 1. პარასკევი, 4 იანვარი, 2008 წელი.

• რაც შეეხება სააკაშვილს, რომელსაც უბრალოდ „მიშას“ ეძახიან, ის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა, რათა საარჩევნო კამპანიაში ჩაბმულიყო. მთელ ქვეყანაში დაქრის და ცდილობს ამომრჩევლები დაარწმუნოს, რომ სულაც არ გადაქცეულა მედიდურ და რეალობას მოწყვეტილ სახელმწიფო მეთაურად, როგორც ყველას ეგონა



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო ამომრჩევლებს თხევად სიურპრიზს უმზადებს

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელიც საქართველოში 2008 წლის 5 იანვარს გაიმართება, ერთ-ერთმა კანდიდატმა უარი თქვა სახელმწიფოს მეთაურის პოსტისათვის ბრძოლის გაგრძელებაზე.

ეს არის ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი – ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. წინათ ის აცხადებდა, რომ მზად იყო მოეხსნა თავისი კანდიდატურა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დისტანციას მასთან ერთად ჩამოშორდებოდა მიხეილ სააკაშვილი.

ახლა კი პატარკაციშვილმა უარი თქვა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ამისთვის დამატებითი პირობები არ წამოუყენებია. მისმა პოლიტიკურმა მომხრეებმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ საქართველოში შექმნან მემარჯვენე პარტია – „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“. ეს პარტია, თუ პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებს დავუჯერებთ არსებობას დაიწყებს უშუალოდ ვადამდელი არჩევნების შემდეგ და კენჭს იყრის საპარლამენტო არჩევნებში.

შერისხული ბიზნესმენის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოსთვის გახდება პირველი „ევროპული ტიპის პარტია“, რომელიც ეროვნულ ტრადიციებსა და ფასეულობებს დაეყრდნობა. „ჩვენ ვოცნებობთ შევქმნათ სამართლიანობასა და კეთილდღეობაზე დამყარებული სახელმწიფო. საქართველოში პრიორიტეტული უნდა გახდეს ინვესტიციებისთვის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობისთვის მხარდაჭერა“,– განმარტა გაფრინდაშვილმა.

მიუხედავად თავისი განცხადებისა, ჩამოშორდეს საარჩევნო მარათონს, პატარკაციშვილი ოფიციალურად ჯერ კიდევ რჩება პრეზიდენტობის კანდიდატად. საქართველოს ცესკო მის თხოვნას განიხილავს 4 იანვარს, ესე იგი არჩევნების წინა დღეს. დღეისათვის რესპუბლიკაში არსებობს 3655 საარჩევნო უბანი. 44 უბანი კი შექმნილია სხვა – 33 ქვეყნის ტერიტორიაზე.

არჩევნებისთვის სამზადისი გაჩაღებულია: მოწვეულია 5 ათასზე მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი. ეუთოდან, ევროპის საბჭოდან, ევროკავშირიდან, დსთ-დან და მთელი რიგი ცალკეული ქვეყნებიდან. მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ სახელმწიფოს მეთაურის პოსტიდან გადადგომამდე თქვა, რომ სტუმრებს მიანიჭებდა „უპრეცედენტო თავისუფლებას“, კერძოდ, ნებას მისცემდა მათ დამოუკიდებლად აერჩიათ უბნები დაკვირვებისთვის.

საქართველოს საარჩევნო კომისია პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ახორციელებს დარღვევათა აღსაკვეთად. ცესკოს თანამშრომლებს განსაკუთრებით ეშინიათ ხელმეორედ ხმის მიცემის შემთხვევებისა. ეს რომ არ მოხდეს, საქართველომ შეისყიდა კანადური წარმოების სპეციალური სითხე და მისი აღმომჩენი დეტექტორები.

შესყიდულია 3,8 ათასი საკონტროლო მოწყობილობების პარტია და 7 ათასი ბოთლი სპეცსაშუალება, რომელთა გამოყენება პრაქტიკულად მთლიანად გამორიცხავს ერთი და იგივე ადამიანის მიერ ხმის ხელმეორედ მიცემის შესაძლებლობას. უბნებზე ამ სითხით აღნიშნავენ ამომრჩევლებს, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, რის შემდეგაც ისინი უკვე ვერ შეძლებენ წავიდნენ სხვა უბანზე და ხელახლა შეავსონ ბიულეტენი.

საქართველოს ცესკოს წარმომადგენელთა თქმით, ამ სითხის გამოყენება „ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული მეთოდია ხმის მიცემის პროცესში ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად“. როგორც ჩინოვნიკები ამტკიცებენ, ეს სითხე საფრთხეს არ უქმნის ჯანმრთელობას, დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და არ ეწინააღმდეგება არც ერთი რელიგიის დოგმებს. „ეს სითხე მთელ მსოფლიოში გამოიყენება არჩევნების დროს ამომრჩეველთა მარკირებისთვის“, – ასე დაასაბუთა თავისი არჩევანი ცესკომ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ მიხეილ სააკაშვილი, „ახალ მემარჯვენეთა“ ლიდერი დავით გამყრელიძე, ცხრა პარტიის მიერ წარმოდგენილი გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე, „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, „მომავლის პარტიის“ ლიდერი გიორგი მაისაშვილი და პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია.

რაც შეეხება სააკაშვილს, რომელსაც უბრალოდ „მიშას“ ეძახიან, ის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა, რათა საარჩევნო კამპანიაში ჩაბმულიყო. მთელ ქვეყანაში დაქრის და ცდილობს ამომრჩევლები დაარწმუნოს, რომ სულაც არ გადაქცეულა მედიდურ და რეალობას მოწყვეტილ სახელმწიფო მეთაურად, როგორც ყველას ეგონა.

„მან აღიარა, რომ შეცდომები მოსდიოდა, ამბობს პარლამენტის დეპუტატი გიგა ბოკერია, სააკაშვილის ერთ-ერთი უახლოესი პოლიტიკური თანამებრძოლი. – განსაკუთრებით უკანასკნელ ექვს თვეში, როცა ფასები იზრდებოდა, ჩვენ კი ამაზე ნელა ვრეაგირებდით.

ის დღემდე ირწმუნება, რომ საბაზრო რეფორმები „სავსებით სწორია“ – უბრალოდ ისინი ცუდად განმარტეს. ის უარყოფს საყვედურებს სააკაშვილის მისამართით, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლებამიღებულ ამ პოლიგლოტს ძალიან უყვარს ყურადღების ცენტრში იყოს საერთაშორისო სარბიელზე, დიდ დროს ხარჯავს საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობისთვის და არაფერს აკეთებს ქვეყნის შიგნით თავისი ელექტორალური ბაზის წახალისებისთვის.

2004 წლიდან მთავრობა ახორციელებს ულტრალიბერალურ პოლიტიკურ- ეკონომიკურ პროგრამას: სპობს ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს, სამუშაოდან ითხოვს ჩინოვნიკებს, ამცირებს საგადასახადო ინსპექციების რაოდენობას (წინათ მათი რიცხვი 22 შეადგენდა, 2008 წლიდან მხოლოდ 5 დარჩება). წინათ საქართველო გაკოტრების პირას იყო. ახლა კი ეკონომიკური ზრდის ტემპი წელიწადში 10 პროცენტს შეადგენს, საქართველოში საზღვარგარეთის ინვეტიციების რაოდენობაც ძალიან გაიზარდა.

მაგრამ ამ მაკროეკონომიკურმა წარმატებებმა ვერ გააუმჯობესა მოქალაქეთა უმრავლესობის ცხოვრება: ხუთმილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში 300 ათასი უმუშევარია, მოქალაქეთა მესამედი კი ღარიბ-ღატაკია. ამის გამო სააკაშვილმა დაითხოვა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც ფინანსების სფეროში მკაცრ დისციპლინას ემხრობოდა და სოციალური სფერო თავის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. 2007 წელს პენსიები თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა, 2008 წელს კი ეს ზრდა გაგრძელდება. ყველაზე უქონელთ ტალონებს მისცემენ გაზისა და ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელად, მასწავლებლებს ხელფასს მოუმატებენ, ხოლო ომის ვეტერანებისთვის სოციალურ შეღავათებს აღადგენენ.

ერთი შეხედვით ჩანს, რომ სააკაშვილი ადვილად შეძლებს მიაღწიოს იმას, რომ ხელახლა არჩიონ. ოპოზიცია პატარკაციშვილის გარეშეც გათიშულია. ოპოზიციის მთავარ კანდიდატად ითვლება ლევან გაჩეჩილაძე – ღვინოების კომპანიის მფლობელი, რომელსაც დიდი გამოცდილება არ აქვს პოლიტიკაში. იგი წარმოადგენს ოპოზიციის ორგანიზაციათა კოალიციას, რომლის მხარდამჭერია დავით გამყრელიძე – ლიდერი პარტიისა „ახალი მემარჯვენეები“ და მონარქიის აღდგენის მთავარი მოსურნე.

სააკაშვილს სწადია, საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღიარონ, რომ არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყო. უნდა ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან არც ერთი დამკვირვებელი არ მოუწვევიათ. სამი სახელმწიფო ტელეარხი შეეცადა გაექარწყლებინა თავისი აშკარა მიკერძოებულობა, რისთვისაც ყოველ კვირას 21 საათზე გადასცემს თოქ-შოუს, რათა ეთერში წარმოდგენილი იყოს შეხედულებათა მთელი სპექტრი. ოპოზიციურ ტელეკომპანია „იმედს“ ნება დართეს გაეახლებინა მუშაობა 12 დეკემბრიდან, მაგრამ გასულ კვირას მისმა ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს კვლავ შეეწყვიტათ მაუწყებლობა. მათ პროტესტი გამოთქვეს „ბინძური პოლიტიკური თამაშების“ წინააღმდეგ, რადგანაც სააკაშვილის მიმართ ცუდად განწყობილთ შოკი მოჰგვარა იმან, რაც ცნობილი გახდა ტელეკომპანიის მფლობელის პატარკაციშვილის შესახებ.

მეტი წილი სოციალური გამოკითხვების შედეგები ცხადყოფენ, რომ სააკაშვილი მიიღებს ხმების 30 პროცენტზე მეტს, ხოლო გაჩეჩილაძე – 20 პროცენტზე ნაკლებს. მაგრამ ამომრჩევლების 25-30 პროცენტი ჯერ კიდევ ყოყმანობს და თუ პრეზიდენტმა პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა, მისი მოწინააღმდეგენი შეძლებენ გაერთიანდნენ, რათა დაამარცხონ ის.

საქართველოს უახლოეს ისტორიაში ეს არის არჩევნები, სადაც უსასტიკესი საკონკურენტო ბრძოლა მიმდინარეობს, – თქვა მინისტრთა კაბინეტის ყოფილმა წევრმა, ამჟამად კი სააკაშვილის საარჩევნო შტაბის სპიკერმა დავით ბაქრაძემ. – ეს კარგის მომასწავებელია და წინ გადადგმული ნაბიჯია პოლიტიკური კულტურის სფეროში.

**ირინა კალუგინა**

**Утро.ru**

# რეფორმატორი, „ვარდების რევოლუციის“ გმირი ცდილობს აყვავების ხანაში დაბრუნდეს

ის გახლდათ „ვარდების რევოლუციის“ გმირი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკაში, რომელმაც ჩამოაგდო ედუარდ შევარდნაძე – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი და საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს მოხდა 2003 წელს არჩევნების ფალსიფიკაციის ფაქტის შემდეგ. 2004 წლის იანვარში სააკაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს ხმების დიდი უმრავლესობით. ის მაშინვე გახდა ვაშინგტონის რჩეული და იმთავითვე თავზარი დასცა საქართველოს ყოფილ საიმპერიო პატრონებს, რომლებიც მოსკოვში სხედან.

ახლა კი სააკაშვილი კვლავ წარსდგება ქართველ ამომრჩეველთა წინაშე, მაგრამ ამჯერად მას მოუწევს ბევრად უფრო გააფთრებული ბრძოლა. დიდი ძალისხმევა დასჭირდება არა მარტო იმისთვის, რომ ხმების დიდი უმრავლესობა მიიღოს პირველსავე ტურში და თავიდან აიცილოს მეორე ტური, რომელიც შესაძლოა წააგოს, არამედ იმისთვისაც, რომ თავისი მაძაგებელნი დაარწმუნოს, რომ ახლაც ის გმირი-დემოკრატია, რომლითაც აღტაცებული იყვნენ მთელ დასავლეთის სამყაროში.

ოქტომბერში მან Financial Times-თვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: „მე არასოდეს დავმარცხებულვარ არჩევნებზე. არც ახლა დავმარცხდები“.

სულ 4 კვირის შემდეგ მის რეპუტაციას დიდი ჩრდილი მიადგა, რადგან თბილისის ცენტრში პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმს უბრძანა დაეშალა ოპოზიციონერთა დემონსტრაცია. სააკაშვილმა საგანგებო წესები გამოაცხადა და დახურა ტელეკომპანია „იმედი“ – ოპოზიციის მხარდამჭერი ძირითადი არხი, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კი დაასაბუთა იმით, თითქოს არსებობდა სახელმწიფო გადატრიალების გეგმა, რასაც მხარს უჭერდა რუსეთი. მაგრამ როცა დაინახა, თუ როგორ შეაძრწუნა ამან მსოფლიო, სააკაშვილმა გააუქმა საგანგებო მდგომარეობა და ვადაზე ერთი წლით ადრე – 5 იანვრისთვის დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნები.

საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ძალიან მღელვარედ და არავინ იცის, როგორ დამთავრდება. ამის მიზეზია სააკაშვილის ხასიათი და ბაზრის ლიბერალიზაციისთვის განკუთვნილი რეფორმების სწრაფი მიმდინარეობა.

საჯარო გამოსვლებში ხშირად გაისმის აღშფოთება. პრეზიდენტის ოპონენტები მას ეძახიან დიქტატორს, რომელიც ურიგდება კორუფციას და ხელები სისხლით აქვს მოსვრილი. ამტკიცებენ, რომ მან რუს ინვესტორებს ნება მისცა პრივატიზაციის დროს კონტროლი დაეწესებინათ საქართველოს ეკონომიკისათვის. თავის მხრივ, სააკაშვილი ადანაშაულებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, თითქოს ისინი მხარს უჭერენ რუსეთს და ცდილობენ მმართველობას ჩამოაშორონ ის. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, არის რუსეთისადმი მტრული განწყობილება და ნატოში შესვლის სურვილი, რათა ძომაგად დაიგულონ ეს ალიანსი.

გასულ კვირას პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კანდიდატი – მილიარდერი და რუსეთის დევნილი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის საქმიანი პარტნიორი გამოეთიშა ბრძოლას მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ის 100 მილიონ დოლარს სთავაზობდა ქრთამის სახით პოლიციის ერთ-ერთ მაღალი ჩინის წარმომადგენელს. წინათ პატარკაციშვილი, რომელმაც აღიარა, რომ ასეთი წინადადება მართლაც მისცა დასახელებულ ოფიცერს, მთავრობას ადანაშაულებდა მისი ლიკვიდაციის მცდელობაში. მან ქართველ ამომრჩევლებს აღუთქვა აგრეთვე რომ მილიარდ დოლარს დახარჯავდა თავისი პირადი სახსრებიდან მათი საბინაო-კომუნალური მომსახურების ასანაზღაურებლად.

ორი სხვა წამყვანი კანდიდატი იბრძვის პრეზიდენტის პოსტის გაუქმებისა და 200 წლის წინათ რუსეთის მიერ გაუქმებული კონსტიტუციური მონარქიის აღდგენისთვის.

**FT.com**
FINANCIAL TIMES

მთავრობისთვის შესაძახებლად კი ნამდვილად ღირს. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ, თუ სადმე სამართალია, კეთილმოწყობის სამსახურები არ უნდა წყვეტდნენ ერის მამების ყოველდღიურობაში ყოფნა-არყოფნის ბედს

## ინფორმაცია

# ეგზიტპოლები პოლიტიკურ გარემოს დაძაბავენო

„რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა საზოგადოებას პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის შტაბის პოზიცია გააცნო 5 იანვარს დაგეგმილ ეგზიტპოლებთან დაკავშირებით.

ხიდაშელის თქმით, გაერთიანებული ოპოზიცია წინააღმდეგია 5 იანვარს ნებისმიერი ეგზიტპოლის შედეგის გამოქვეყნების, რადგან მედია-სივრცეში ამ შედეგების განთავსება ხელოვნურად დაძაბავს პოლიტიკურ გარემოს ქვეყანაში.

თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ ყველა წინა არჩევნებზე ეგზიტპოლის ჩატარებას აფინანსებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. „ეს არის პირველი არჩევნები, სადაც ეგზიტპოლს არ აფინანსებს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და ქვეყანა. რატომ? იმიტომ, რომ არ არსებობს ნდობა არჩევნების მიმართ“, – აღნიშნა მან.



ეგზიტპოლი, რომელსაც აფინანსებს 4 ტელეარხი – საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „მზე“ და „აჭარის ტელევიზია“, ხიდაშელის თქმით, არაობიექტური იქნება. „მას ჩაატარებენ ადამიანები, რომელთა ნაწილი იმ მედია-საბჭოში შედის, რომელიც აყალბებს ინფორმაციას წინასაარჩევნო პერიოდში მედიაში პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის გამოყოფილი დროის შესახებ“, – დასძინა „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

ხიდაშელის მონაცემებით, მიხეილ სააკაშვილს გაცილებით მეტი დრო ეთმობა ტელეეთერში, ვიდრე სხვა კანდიდატებს.

თინა ხიდაშელმა აღნიშნა, რომ მას არ აქვს სრული ინფორმაცია 5 იანვარს დაგეგმილი სხვა ეგზიტპოლების შესახებ, მაგრამ ხელოვნური დაძაბულობის მიზეზი ნებისმიერი მათგანი გახდება.

პრეზიდენტობის კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძისადმი მოსახლეობის მხარდაჭერა ისეთი ძლიერია, რომ არჩევნების გაყალბება შეუძლებელია, – განაცხადა თინა ხიდაშელმა გაჩეჩილაძის წინასაარჩევნო პროგრამის შეჯამებისას.

– ჩვენ ვგრძნობთ საზოგადოების უზარმაზარ მუხტს, – დასძინა ხიდაშელმა.

ინტერპრესნიუსი

## თბილისი საახალწლოდ



მურად ალაშვილის ფოტო.

## არეულ ტალღაზე

# საუკუნეების წინანდელზე ჩაქვითკირებული

**თბილისი ხელისგულზე დადებულივით მოსჩანს ჩემი აივნიდან, ისედაც შემაღლებულზე მდგარი სახლის მეცხრე სართულიდან.**

**პირდაპირ – ლოტკინი.**

**მარჯვნივ – ხუდადოვი.**

**სოკოებივით შეფენილან სახლები ვეძისის გორაკებზე.**

**წყნეთი.**

**ბაგები.**

**ხელის გაწვდენაზე პირდაპირ.**

ფერად რუკაზე საგანგებოდ გამოკვეთილების მსგავსნი.

ჩახჩახებენ ოქროსფრად.

განსაკუთრებით მზის ჩასვლის შემდეგ.

ღამით.

შარშან უკუნეთს ეპყრა, შავად იყო მოქუფრული.

გაზაფხულზე დაიწყო. მაისის ბოლოს დამთავრდა სრულიად. ერთი-მეორის მიყოლებით განათდნენ დიდი და პატარა ქუჩები. დაემსგავსნენ შემოდგომის პირზე შემწიფებული მზესუმზირის ბადროს.

აივანზე გამატარებინეს მთელი ზაფხული.

გარეთ ყოფნას მიმაჩვიეს.

ვიჯექი ჩემთვის.

ვუყურებდი.

ვხალისობდი პატარა ბავშვივით.

ტელევიზორში თავს იწონებდა ხელისუფლება.

ქუჩები გავანათეთ, გზები გავიყვანეთ, უფრო მეტს ვაპირებთო გაისად.

ჰქონდა კიდეც უფლება.

ქადილის.

თავმოწონების.

ვხედავდი:

ცელქი ბავშვებივით არბოდნენ გაბრდღვიალებული ქუჩები ვეძისის აღმართებზე. ერთმანეთს მისდევდნენ, სადღაც ბოლოში რკალს კრავდნენ, ერთდებოდნენ თითქოს. თავზე გვირგვინად ადგათ პროჟექტორივით ბუხ-ბუხა ნათურები.

განგებ გაკეთებულს ჰგავდა ყველაფერი.

საზეიმოს.

თვალის სასეიროდ მოწყობილს.

არ იყო ურიგო.

თვალი სვამს და თვალი ჭამსო. დიდი ხნის წინათ არის ნათქვამი ესეც. ცოტა ჰყოფნის მშიერსაც.

თითქოს ამოისუნთქა ყველამ ერთად.

მერე გზები. ყველაფერზე მეტად სატკივარი ყოველთვის.

გულის გამაწყალებელი პირდაპირ.

შვიდნახევარ საათს ვანდომებდით მშობლიურ სოფელში ჩასვლას, ოღროჩოღროებზე ხტუნვა-ხტუნვით ისიც.

იმტვრეოდა მანქანა. სერიოზულ შეკეთებას ითხოვდა მერე.

ამჯერად შემოდგომით დაგვჭირდა გამგზავრება. ისიც 23 ნოემბერს – გიორგობა დღეს, როცა ყველა სადღაც ეშურება, გზაც სავსეა ავტომანქანებით.

გვერდის ავლა ჭირს გადაჭედილ ტრასაზე.

დავადექით უთენია გზას, რომლის ყოველი მეტრი ნაცნობია ჩემთვის.

ფეხის ადგმიდან.

სიყმაწვილიდანვე.

გავერთე შეჩვეული სანახებით. გამოვფხიზლდი მაშინ, როცა უკანასკნელ მეტრებს კეცავდნენ საბურავები.

სამსაათნახევარი იყო გასული მას შემდეგ, რაც თბილისიდან გამოვედით.

მოვრჩით ყველაფერს ფაციფუცის გარეშე.

აუჩქარებლად.

უმთავრესი: ჯეროვანი პატივი მივაგეთ მიცვალებულს – თბილისიდან ჩვენი აბარგების პირველ მიზეზს.

იმავე დღეს დავბრუნდით თბილისში სანაქებო გზით.

დაუძაბავად.

მშვიდად.

თავს ამაყად ვგრძნობდი. რაღაც მიხაროდა. თითქოს ჩემი გაკეთებული იყო ამხელა საქმე. ხშირად ვყვებოდი მგზავრობის ამბავს ისე, ვითომ განსაკუთრებული რამე ჩამედინოს.

გავრისკე საახალწლოდაც. შეღამებულზე გავედი ქალაქში. გამიტყუა აივნიდან დანახულმა ათასფრად აბრიალებული თბილისის სილუეტმა.

ჩამოვყევი რუსთაველის პროსპექტს.

დიდებული რამ იყო.

შეუდარებელი სანახაობა.

შეხედვას ვერ ვასწრებდი. ერთიდან მეორეზე გადარბოდა თვალი.

პროსპექტის ბოლოში გამოსვლამ დამზაფრა. ქალაქი დამთავრდა თითქოს. სულ სხვა სამყარო იყო აქეთ. მეტროსთან ჩრდილში იდგა რუსთაველი. გამორჩენოდა ვიღაცას, გაუნათებელი დარჩენოდა. მახლობელი სახლების გაჩირაღდნებული ფასადებიდან არეკლილი შუქით ინათებდა სახეს პოეტი. ნაღდად არ მონაწილეობდა საახალწლო ფაციფუცში.

კოსტავას ქუჩის ბოლოში ბნელში იდგა გიორგი სააკაძეც.

არ დამზარებია. დიღომში მოვიკითხე აღმაშენებელი, საოცნებო ქალაქიდან გაძევებული ადრე. გარშემო აფორიაქებული მანქანების შუქით ინათებდა ტან-ფეხს. მაინც ყოჩაღად იდგა, იხტიბარს არ იტეხდა მტრის ჯინაზე თითქოს.

ღმერთი, რჯული!

ბოღმა არ მაწუხებს. არ მაქვს ხელისუფლებასთან რამე სადავო.

არანაირი.

კარგსაც ჩინებულად ვხედავ. თვალის პრობლემა ნამდვილად არ მაწუხებს.

მომეჩვენა მაინც:

აკლდა რაღაცას მარილი.

შეიძლება მართლა გამოუცდელი ბალღებისთვის იყო მინდობილი საპირველიანვროდ ქალაქის განათების, ჩემი აზრით, უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე, ჰაიჰარა სპეციალისტებისთვის იყო გადაბარებული.

სულო ცოდვილო!

არც სხვა დროს ნათდება შოთა.

სულ მუდამ ბნელში დგას აღმაშენებელი.

გიორგი სააკაძე.

თავს ვერ მივცემ სერიოზულად რაიმეს მტკიცების უფლებას, მაგრამ არ ჩანს შემთხვევითი. გეგმაზომიერს უფრო ჰგავს. მეტიც – წარსულზე უარის თქმას რაღაცნაირს.

ისტორიის მიფუჩეჩებას.

ღირსეული ერისკაცების მოფარებულში გადაწევას.

მოქურუხებულში მიჩუმქრვას.

ყოვლად შეუძლებელია საპარლამენტო გადაწყვეტილება იყოს მიღებული ამაზე.

საგანგებო.

განსაკუთრებული.

მთავრობის უმაღლეს ეშელონებში არ დასმულა ბეჭედი.

დარწმუნებული ვარ ამაში.

მტკიცედ.

საფუძვლიანად.

მთავრობისთვის შესაძახებლად კი ნამდვილად ღირს. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ, თუ სადმე სამართალია, კეთილმოწყობის სამსახურები არ უნდა წყვეტდნენ ერის მამების ყოველდღიურობაში ყოფნა-არყოფნის ბედს.

გმირულად გავლილი წლების გვერდზე გაწევა არ არის თავმომწონე, საკუთარი თავისთვის პატივისმცემელი ერის ღირსეული საქციელი.

აწმყო წარსულიდან იწყება. წარსული და აწმყოა მომავლის საძირკველი.

თქვა კიდეც ლაიბნიცმა დიდებულად. ილიამაც აიტაცა უყოყმანოდ და ეპიგრაფად წარუმძღვარა ისტორიულ თხზულებას.

ღმერთო ჩემო!

ილიაზე გამახსენდა, ეკლესიის მიერაც წმინდანად შერაცხულზე.

პოლიტიკურ ვნებათა განსაკუთრებული ღელვისას, როგორც წესი, იკარგებიან ჩვეულებრივი ადამიანები.

ხშირად სულ უნიშნოდ.

უკვალოდ.

ილია გამონაკლისია. სიცოცხლეშიც არ ყოფილა ჩვეულებრივი, რიგითი მოკვდავი.

არც სიცოცხლის იქით. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ყოფილიყო არანაირად.

სამწუხაროდ, არ მოხდა ასე.

სულ ახლახან დაბადებიდან 170 წელი შეუსრულდა ერის მამას. კიდევ უფრო მეტი: ზუსტად 100 წლის წინათ გამოასალმეს სიცოცხლეს.

ვერაგულად.

მიპარვით.

დღევანდელი ხელის უფლები ამ განსაკუთრებული თარიღის შესრულებისას ოპოზიციასთან ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულები. რა გაახსენებდათ ილიას, როცა ყოფნა-არყოფნის პრინციპული საკითხი იდგა დღის წესრიგში.

საზოგადოებაც პოლიტიკით გათანგული აღმოჩნდა იმდენად, რომ მთავრობისთვის ერთი რიხიანი შეძახებაც ვერ შესძლო. ჩაილურის წყალივით გაიპარნენ საზეიმო და, იმავდროულად, ერთობ სამწუხარო დღეები. გადაბმულად ორი სიტყვაც არავის დასცდენია ილიაზე.

დავალაგოთ ახლა ყველაფერი თანმიმდევრულად.

ქრონოლოგიურად.

ბნელში მდგომი შოთა.

დავითი.

სააკაძე.

თვალს მიფარებული ილია.

არ ვიცი როგორ და რანაირად, მაგრამ მაინც პოლიტიკის სუნი აუვიდა რაღაცას.

აშკარა პოლიტიკური ნების, სადღაც ზევით მოკალათებულის.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მეშლებოდეს ესეც.

ჩავიწყვეტ ხმას.

დაუფიქრებლად,

უყოყმანოდ.

მით უმეტეს, რომ არც ნაწერი გამოვიდა საზეიმო, მთლად საახალწლო.

კიდევ კარგი წავიდა უკვე.

2007 ჩაბარდა წარსულს.

მოუბრუნებლად.

უვადოდ.

დაგვტოვა ხვალინდელის იმედად.

ხვალ კიდევ იანვრის ხუთია – პრეზიდენტის ასარჩევი დღე.

მთელი ქვეყნის მთავარი საქმე.

შეიძლება, უმთავრესიც.

წასვლა უცილებელია.

იქნებ შოთაც დაგვემგზავროს.

დავითი.

გიორგი.

ილია, უპირველეს ყოვლისა.

ეგებ გზაც ვნახოთ ერთად ნამდვილი, ჭეშმარიტი.

საუკუნეების წინანდელზე დაქვითკირებული.

**როზერტ ძერია.**

# მოზაიკა

● უკვე შარშანდელი, 2007 წლიდან სააკადემიო სახელობითი პრემიები ერთობ საგრძნობლადაა გაზრდილი. აკადემიის პრეზიდენტმა სწორედ ამ გაზრდილი თანხების ჩეკები, დიპლომებთან ერთად, საზეიმოდ გადასცა გასული წლის ლაურეატებს



## ⊙ ინფორმაცია

### თურმე ყველაფერი ნაბახუსების ბრალი ყოფილა

**გალის რაიონში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელი რუსლან ქიშმარია ენგურის ხიდზე მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ დე ფაქტო საზღვარზე მუშაობა ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს.**

— არანაირი განსაკუთრებული შეზღუდვა არ დაგვიწესებია და სპეციალური საშვები არ მოქმედებს. ყველა სამსახური ჩვეულ რეჟიმში მუშაობს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩამოვიდეს და ამაში დარწმუნდეს. მთლიანად რაიონში სრული სიმშვიდეა. გაუგებარია, რატომ ვრცელდება მსგავსი ინფორმაციები, — განუცხადა რუსლან ქიშმარიამ და დასძინა, რომ აღნიშნული ინფორმაცია „ნაბახუსებზე ქართველების ჰალუცინაციაა“.

თუმცა დე ფაქტო საზღვრის ჩაკეტვის შესახებ ინფორმაცია დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ კომენტარში დაადასტურა და განაცხადა, რომ იმ ქართველებს, რომლებიც 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, აფხაზეთში დაბრუნებისას პრობლემები შეექმნებათ.

**ინტერპრესნიუსი**

## ⊙ აკადემია

# პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს, მაშასადამე, არსებობს...

**დეკემბრის მიწურულს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 2008 წლის ბოლო სხდომა, რომლის დღის წესრიგი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა განხილული ხუთი საკითხით.**

ახლახან უკრაინის დედაქალაქმა მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის მორიგ სესიას უმასპინძლა, სადაც საქართველოდან დელეგირებული გახლდათ ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. სწორედ კიევური შთაბეჭდილებების გაზიარება იქცა ბატონი როინის გამოსვლის საგნად.

ორ პროექტზე შეაჩერა დამსწრეთა ყურადღება აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ოთარ ნათიშვილმა: „საქართველოს პოლიტიკა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში (2015 წლამდე და შემდგომი პერიოდისათვის)“ და „საქართველოში 2015 წლამდე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები (რეკომენდაციები)“.

ხსენებული პოლიტიკის რეალიზაცია მიმართულია საქართველოს ეროვნული სტრატეგიული პრიორიტეტების უზრუნველსაყოფად. ასეთ პრიორიტეტთა რიცხვს მიეკუთვნება მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ეკონომიკური აღმავლობა, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, განათლება, კულტურა და ქვეყნის უსაფრთხოება.

2015 წლამდე თვით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად კი, ჯერჯერობით რეკომენდაციების სახით, მიჩნეულია მათემატიკის, ინფორმატიკისა და ფიზიკის შემსწავლელი, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; ჰუმანიტარული, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებები; ეკოლოგია და რაციონალური ბუნებათსარგებლობა; საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები; სამრეწველო, ენერგო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიები და კიდევ რამდენიმე.

რა თქმა უნდა, „რეკომენდაციები“ იმასაც ნიშნავს, რომ ეს ნუსხა საბოლოო არ არის და ეგებ შეიცვალოს, თუნდაც გაფართოების მხრივ.

აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცება, გამორჩენილ მეცნიერთა სააკადემიო სახელობითი პრემიების მინიჭების სანიმუშო დებულებისა და პრემიების ნუსხის დამტკიცება, სააკადემიო სახელობითი პრემიების დიპლომების გადაცემა — სამივე ამ საკითხზე აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გამოვიდა.

„მოამბე“ უკვე გახდა საერთაშორისო ინგლისურენოვანი ჟურნალი — აქ გამოქვეყნებული სტატიების ვრცელი ქართული ანოტაციებით. მთავარი რედაქტორია თამაზ გამყრელიძე, მოადგილეები არიან ვიცე-პრეზიდენტები, აკადემიკოსები გურამ თევზაძე, ფრიდონ თოდუა, გურამ ხარატიშვილი და აკადემიკოს-მდივანი ოთარ ნათიშვილი.

სარედაქციო საბჭოში შესვლაზე თანხმობა მოგვცეს მსოფლიო სახელის სწავლულებმა მრავალი ქვეყნიდან, რაც, რასაკვირველია, ჟურნალის პრესტიჟს ძალიან წაადგება.

„მოამბის“ სარედაქციო კოლეგია 41 ქართველი აკადემიკოსის შემადგენლობით დამტკიცდა. აღმასრულებელი რედაქტორია ლუდმილა გვერდწითელი, ტექსტების რედაქტორი — არიანე ჭანტურია.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა აგრეთვე გამორჩენილ მეცნიერთა სააკადემიო სახელობითი პრემიების მინიჭების სანიმუშო დებულება და პრემიების ნუსხა. პრემიები კვლავ სამ წელიწადში ერთხელ გაიცემა. ნუსხაში შევიდა 24 სააკადემიო სახელობითი პრემია, თუმცა, სხდომაზე გამოთქმული სურვილების გათვალისწინებით, შესაძლებელია მათი რიცხვის გაზრდა 2-3 ახალი ჯილდოთი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკვე შარშანდელი, 2007 წლიდან სააკადემიო სახელობითი პრემიები ერთობ საგრძნობლადაა გაზრდილი. აკადემიის პრეზიდენტმა სწორედ ამ გაზრდილი თანხების ჩეკები, დიპლომებთან ერთად, საზეიმოდ გადასცა გასული წლის ლაურეატებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთი იუწყებოდა შარშან მინიჭებული ყველა სააკადემიო სახელობითი პრემიის თაობაზე.

... აკადემიკოს როინ მეტრეველის კიევური სამივლინებო ანგარიში რამდენიმე საგულისყურო მომენტის შემცველია; ერთ-ერთი გახლავთ ასოციაციის ფორუმზე შემდგარი საუბარი მეცნიერული ცხოვრების გაშუქებაში მასმედიის განსაკუთრებული როლის შესახებ. ყოველივე ამის გარშემო ჩვენს მკითხველს ახლო ხანში ცალკე ვუამბობთ.

**თამაზ ებანოიძე**

# ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ

**გასული წელი ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის წელიც იყო. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ინიციატივა მოგველოცა ახალი 2008 წელი ყველა მშენებლისათვის, ქართველი და ჩვენი მეგობარი სხვა ეროვნების ხალხისათვის.**

როდესაც ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციის — „ნიუ-სითის“ წარმატებებით ვამაყობთ, საფუძვლად საზოგადოების, ხალხისა და ქვეყნის ხელმძღვანელთა შეფასებებს ვგულისხმობთ.

გასულ წელს მოპოვებულ შრომითი წარმატებების მაგალითად, ვფიქრობთ, ეროვნული სტადიონი და სიღნაღიც საკმარისია. მათ ხომ მთავრობისა და ხალხის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ჩვენი კოლექტივი მზად არის თავისი კეთილსინდისიერი შრომით კვლავაც ამრავლოს წარმატებები — წინ ხომ საინტერესო სამუშაოები გველის ცალკეული მონუმენტური შენობა-ნაგებობების სახით, რომ აღარაფერი ვთქვათ ქუთაისის, თელავის თუ სხვა ქალაქების კეთილმოწყობაზე.

ზემოთ ნათქვამს დავუმატებდით ერთ საახალწლო სურვილსაც: განვლილი ბოლო წლების მაგალითმა ნათლად აჩვენა სამინისტროს, სახმშენის, კაპმშენებლობის მთავარი სამმართველოს თუ სხვა მსგავსი ორგანიზაციის არსებობის მიზანშეწონილობა ქვეყნის მზარდი მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხთა კოორდინირების საქმეში. იქნებ ღირდეს ამაზე დაფიქრება.

და, ბოლოს, გილოცავთ, მეგობრებო ახალ წელს! გისურვებთ ყოფილიყოს იგი ჩვენი ქვეყნის ძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

**სამშენებლო ორგანიზაცია „ნიუ-სითის“ კოლექტივის სახელით დირექტორი ზაქარია გიორგაძე. ტ.29-09-81.**

## ⊙ თბილისი საახალწლოდ





მურად ალაშვილის ფოტო

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**



**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, კოლექტიური შრომის ხელშეკრულების პირობების შეცვლის დროს დასაშვებია სახელმწიფო ორგანოს ჩარევა?**

**ამირან გოქსაძე**

**პასუხი:** კოლექტიური ხელშეკრულების დადების ან პირობების შეცვლის დროს დაუშვებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩარევა. მაგრამ თუ მაინც მოხდა ეს, ამგვარი ჩარევით დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ბათილია.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ საავადმყოფოში, 10 დღეა ამოიწურა დამსაქმებლის მიერ ჩემთან დადებული ხელშეკრულების ვადა, მაგრამ სამუშაოდან არ მათავისუფლებენ, რითაც ხელი მეშლება უფრო მაღალხელფასიან სამუშაოზე მოწყობაში. აქვთ ამის უფლება?**

**ეთერ ნიორაძე**

**პასუხი:** 2007 წლის 4 ივლისიდან მოქმედი შრომის კოდექსის შესაბამისად, თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა გავიდა, მაგრამ სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, მუშაობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს და საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, დასაქმებული ვალდებულია, გააგრძელოს მუშაობა, სანამ ასეთი ვითარება არ დასრულდება, ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია, მისცეს მას შრომის ანაზღაურება.

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, შეიძლება, შეიზღუდოს გაფიცვა პრეზიდენტის დეკრეტით?**

**გიორგი ბაჯაძე**

**პასუხი:** გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

* * *

**კითხვა: ჩვენი თანამშრომლების დიდი ნაწილი გაიფიცა შრომის მძიმე პირობების გამო. მე და 5 თანამშრომელი გაფიცვაში მონაწილეობას არ ვიღებდით, მაგრამ გაფიცვის გამო სამუშაოს ვერ ვასრულებდით. ხელფასს კი მათთან ერთად ჩვენც არ გვაძლევენ. სწორია ადმინისტრაციის მოქმედება?**

**ქეთო ხუჯაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, დასაქმებულები, რომლებიც გაფიცვაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე ან გადაუხადოს შეჩერების პერიოდში კუთვნილი ანაზღაურება საათობრივი განაკვეთის მიხედვით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

# სპორტი

ჩვენმა მორაგბეებმა ხომ ოვალური ბურთის სამყარო გააოცეს მსოფლიო თასზე, სამბისტებმა კი პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობაში ორი, ხოლო კონტინენტის პირველობაზე სამი ოქროს ჯილდო დაიმსახურეს. მეორე-მესამე ადგილებს აქაც თვლა არ აქვს



## ორბიტაზე

### ეს 2008 წელს იქნება

**ახალი, 2008 წლის სპორტული კალენდრიდან ორი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა უნდა გამოვყოთ: ზაფხულის ოლიმპიური თამაშები პეკინში და ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ავსტრიასა და შვეიცარიაში.**



**იქამდე კი, იანვარ-თებერვალში გაიმართება:**

**12-13 იანვარი. ციგურები.** ევროპის ჩემპიონატი კოლომნა.

**19-20 იანვარი. სპრინტერულ დისტანციაზე მსოფლიო ჩემპიონატი.** ჰერენვენი (ჰოლანდია).

**14-27 იანვარი. ჩოგბურთი.** ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მელბურნი.

**7-13, 15-20 იანვარი. ფრენბურთი. კონტინენტალური შესარჩევი ტურნირი.** კაცები – იზმირი (თურქეთი), ქალები – ჰალე (გერმანია).

**17-27 იანვარი. ხელბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ნორვეგია.

**21-27 იანვარი. ფიგურული სრიალი.** ევროპის ჩემპიონატი. ზაგრები (ხორვატეთი).

**2-3 თებერვალი. ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. მეოთხედფინალი. რუსეთი-ისრაელი.

**8-10 თებერვალი. ჩოგბურთი.** დევისის თასი, მერვედფინალი. რუსეთი-სერბეთი.

**8-17 თებერვალი. ბიატლონი.** მსოფლიო ჩემპიონატი. ესტერსუნდი (შვედეთი).

**9-10 თებერვალი. ციგურები.** მსოფლიო ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში. ბერლინი.

**16 თებერვალი. მძლეოსნობა.** ევროპის თასი შენობაში. მოსკოვი.

**17-24 თებერვალი. წყალბურთი.** მსოფლიო ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი. ქალები, იმპერია (იტალია).

**23 თებერვალი. კრივი.** გამაერთიანებელი ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ვლადიმერ კლიჩკო (უკრაინა) – სულთან იბრაგიმოვი (რუსეთი) ნიუ-იორკი.

### საახალწლო საჩუქარი

**ამერიკული რეალითი-შოუს ვარსკვლავი კიმ კარდაშიანი (ფოტოზე) 2008 წელს არა მხოლოდ ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე რეჯი ბუშთან ერთად შეხვდა, არამედ დაქორწინდა კიდევაც მასზე.** როგორც ჟურნალი „OK!" იტყობინება, მათ დღესასწაული ფლორიდის სანაპიროზე გაატარეს. არ ვიცით, რამდენად სწორია, მაგრამ ამბობენ, რომ ეს ლამაზმანის მეორე გათხოვებაა. 2004 წელს ის მუსიკალურ პროდიუსერს ლეიმონდ თომასს განშორებია.



## დაფასება

### სპორტის დეპარტამენტის რჩეულნი

**გასული 2007 წელი სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს საქართველოს სპორტსმენებმა.** მსოფლიო (რამაზ ნოზაძე, დავით ბედინაძე, ირაკლი ცირეკიძე) და ევროპის (მანუჩარ კვირკველია, ნოზაძე და ზაზა კედელაშვილი) ჩემპიონატებზე სამ-სამი მოჭიდავე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, რომ არაფერი ვთქვათ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნებზე. არანაკლებ საგულისხმო შედეგები ჰქონდათ არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებს. ჩვენმა მორაგბეებმა ხომ ოვალური ბურთის სამყარო გააოცეს მსოფლიო თასზე, სამბისტებმა კი პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობაში ორი, ხოლო კონტინენტის პირველობაზე სამი ოქროს ჯილდო დაიმსახურეს. მეორე-მესამე ადგილებს აქაც თვლა არ აქვს. საგულისხმო შედეგები აჩვენეს ახალგაზრდებმაც.

ასე რომ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს (თავმჯდომარე დავით ნამგალაური) რესტორან „მონოპოლში" გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე მართლაც შეეძლო, საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ამოერჩია და ისინი დაეჯილდოებინა. ასეც მოხდა: წლის სპორტსმენად რამაზ ნოზაძე დაასახელეს, ახალგაზრდებში პირველობა ლუბა გოლოვინას (ბატუტზე ხტომა) და ზებედა რეხვიაშვილს (ძიუდო) ხვდა. წლის აღმოჩენად 17 წლის ფეხბურთელი ლევან ყენია ცნეს. წლის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში ბეგი დარჩიამ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) გაიმარჯვა, „სპორტის რაინდის ორდენი" ოთარ ტატიშვილს გადასცეს. სათამაშო სახეობებში ტოლი არ ჰყავდათ მორაგბეებს, ხოლო ინდივიდუალურ სახეობებში ძიუდოისტთა ნაკრებმა იპირველა გუნდურში.

გამორჩეული სპორტსმენები და კოლექტივები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა დააჯილდოვეს.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: რამაზ ნოზაძე და მისი მწვრთნელი ოთარ ტატიშვილი**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

## კურიოზი

### გაყრა ოლიმპიურად

**დიდი სკანდალი მოხდა ჩინეთში ახალი ოლიმპიური ტელეარხის გახსნისას. საზეიმო ცერემონიას ქვეყანაში ცნობილი ორი ტელეწამყვანი უძღვებოდა – 38 წლის ჩჟან ბინი და მისი მეუღლე ხუ ცზივეი. მათი საოჯახო პრობლემები ახლა მთელმა მსოფლიომ შეიტყო.**

როცა მიკროფონთან საზეიმო სიტყვის წარმოთქმას ქმარი აპირებდა, ხუ ცზივეიმ დაასწრო და ლაპარაკი დაიწყო.




„დღეს განსაკუთრებული დღეა არა მხოლოდ მთელი ქვეყნისა და ჩვენი ოლიმპიური არხისთვის, – თქვა ქალბატონმა, – არამედ ჩჟანისთვისაც. ორი საათის წინ შევიტყვე, რომ ჩემს ქმარს საყვარელი ჰყოლია".

ჩჟანის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სამი წუთის განმავლობაში ცოლი მას თათხავდა. შემდეგ კი ატირდა.

ამ ინციდენტის ჩანაწერი უმალ მოხვდა ინტერნეტში. თუმცა ადგილობივი ცენზურა ცდილობდა მის დაბლოკვას, ეს ამბავი მაინც საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

## დაჯილდოება

### „დინამო" „დინამოს" იბრუნებს

**საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" (პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი) ყოველი წლის მიწურულს, ტრადიციისამებრ, საზეიმოდ აჯამებს შედეგებს და გამორჩეულებს აჯილდოებს.** ამჯერად კაფე „მსოფლიო სპორტში" 2007 წლის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე წარმატებულად გამოსვლასთან დაკავშირებით დავით ბედინაძეს და ირაკლი ცირეკიძეს 1500-1500 ლარი გადაეცათ. ათას-ათასი ლარი ხვდათ მანუჩარ კვირკველიას და ნესტორ ხერგიანს, ორას-ორასი ლარით ნაკლები – ბადრი ხასაიას და ოთარ თუშიშვილს; გიორგი გოგშელიძეს 500, ლევან ჟორჟოლიანს და გიორგი ბაინდურაშვილს კი 300-300 ლარი ერგოთ.

მოქმედ სპორტსმენებთან ერთად ვეტერანებიც არ დაივიწყეს. „საპატიო დინამოელის" მედლებითა და 500-500 ლარით დაასაჩუქრეს ოთარ კანდელაკი, ჯემალ ზეინკლიშვილი, ოთარ მიმინოშვილი, ილია დათუნაშვილი, ლევან ინწკირველი, ამირან სხიერელი, ვაჟა ჟღენტი და ვოვა ელოშვილი.

საზეიმო შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ გურამ საღარაძე, გოჩა ძასოხოვი, გოგი თოფაძე, ნიკო ლეკიშვილი, შოთა გორგოძე და სხვები.

სპორტკლუბ „დინამოს" თავკაცმა გოჩა ძასოხოვმა ორი წლის წინათ ამგვარ შეხვედრაზე ხმამაღლა განაცხადა, რომ გადმოგვეცით ეროვნული სტადიონი და მას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სარბიელად ვაქცევთო. მართლაც, ბატონმა გოჩამ სიტყვა უმოკლეს ვადაში შეასრულა. სპორტსაზოგადოება „დინამოს" მესვეური ამჯერადაც ახალი ინიციატივით გამოვიდა: დაგვიბრუნეთ თბილისის „დინამო" და იგი თავის სახელოვან ტრადიციებს აღიდგეს, ევროპაში ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალა იქნებოდა.

– ჩვენ მზად ვართ, „დინამო" შევისყიდოთ, – გვითხრა **გოჩა ძასოხოვმა**. – კლუბის სანაცვლოდ ხარჯებსაც გავიღებთ – თუ რამე დავალიანება აქვს, გავისტუმრებთ. „დინამოს" ხელმძღვანელობას ჩვენი მოსაზრება 6 თვის წინათ გავაცანით. გაერთიანებაზე უარი არ უთქვამთ, ვიმედოვნებთ, რომ საკითხი მალე დადებითად გადაწყდება, გვჯეროდეთ, რომ საქართველოს ეროვნული სტადიონის შესაფერი კლუბი ეყოლება, რომელიც უეფას თასების გათამაშებებზე წარმატებებით გაგვახარებს.

გოჩა ძასოხოვი სიტყვის კაცია. მას საქმე უყვარს. ვიმედოვნებთ, რომ იგი ამჯერადაც სიტყვას საქმედ აქცევს.

**ვაჟა დანელია**

## „ბენდელას" თასი



### „ნაძალადევმა" იძალა

**წლეულს „ბენდელას" თასის მე-16 გათამაშებას „საბურთალოს" საფეხბურთო სკოლის მოედანმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 12 გუნდი ჩაება. ჯგუფური ტურნირის შემდეგ ფავორიტად შერაცხულმა „ნაძალადევმა" ნახევარფინალში ჭიათურის „მაღაროელს" სძლია 4:2 (ბურთები გაიტანეს: მელქაძემ (2), ნემსაძემ, ჩივაძემ; გამცემლიძემ და მუშკუდიანმა). მეორე ნახევარფინალში საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა (სეუ) ცხინვალის „სპარტაკს" 3:1 მოუგო.**

გადამწყვეტ პაექრობაში „ნაძალადევმა" (ირაკლი დგებუაძე, გიორგი ციმაკურიძე, დავით გიგაური, ლადო ბურდული, გოჩა ჯამარაული, ვაჟა ნემსაძე, გიორგი ჩივაძე, ლევან მელქაძე, გიორგი ნემსაძე, ზაქარია ბეგლარიშვილი, გიორგი პაჭკორია, გიორგი დიაკვნიშვილი, თორნიკე ნემსაძე, მწვრთნელი – ვაჟა ნემსაძე) მელქაძის ორი უპასუხო გოლით სეუ დაამარცხა და დამსახურებულად მოიპოვა მთავარი პრიზი. მესამე ადგილზე „სპარტაკი" გავიდა.

ტურნირზე საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს მეკარე ირაკლი დგებუაძე („ნაძალადევი"), მცველი გურამ კაშია (სეუ), მომბარდირი (11 გოლით) მელქაძე, გამორჩეული ფეხბურთელი ლაშა ნოზაძე (სეუ). მწვრთნელებში პირველობა გია კავთელიშვილსა (სეუ) და ვაჟა ნემსაძეს („ნაძალადევი") ერგოთ. გამარჯვებულები და პრიზიორები ალექსანდრე ჩივაძემ და ბიზნესმენმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა დააჯილდოვეს.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**



● ემანდ სირცხვილი არ ვჭამოთ და ისე არა ვქნათ, რომ სილარიბით განთქმულ საქართველოში ღარიბი კაცი სანთლით საძებარი გაგვიხდეს

№ 1. ვარსკვევ, 4 იანვარი, 2008 წელი.

◎ განახლებული ძველი

# როზაიური

**2004 წლის 4 იანვრის მოლოდინში...**

გიგზავნით როზაიებს, რომლებიც ამ ოთხი წლის წინათ დავწერე მაშინდელი წინასაპრეზიდენტო არჩევნების წინ. „ისტორია მეორდება" და მეჩვენება, რომ მათი პათოსი ოთხი წლის წინანდელზე არანაკლებად (თუ მეტად არაძ შეესაბამება დღევანდელ მდგომარეობას. – **ი.ა.**

1.
**გზის გასაყარზე კაცთან ერთად ხშირად დგას ერიც,**
**ასარჩევი აქვს: რა ილონოს, ვის გაჰყვეს, ენდოს;**
**ნაბიჯი ერთი, წამეული, საზღვრავს მერმისსაც,**
**პასუხობს კითხვას, ვითარებას, საწუთროს, კრედოს...**

2.
**ზოგჯერ ქალივით ადვილია ხალხის მოხიბვლა -**
**ქცევაზე მეტად რადგან სჯერა ლამაზ ნათქვამის;**
**ნდობას უცხადებს ის ავანსად ლიდერს, ქარიზმას**
**და უჭირს განსჯა სამერმისო მისი ნაქნარის...**

3.
**პიარი უხმობს ელექტორატს არჩევნებისკენ,**
**თან ერთი უკვე არჩეულად წარმოგვიჩინეს;**
**მაგრამ თუ არ ჰყავს იმ ერთს მართლა ალტერნატივა,**
**ჩვენ დანარჩენი ასარჩევად რად მოგვიჩინეს?!**

4.
**ვაგლახ, რომ ხალხიც, ერიც ცდება ზოგ იმ კაცივით -**
**ვის იმედს წინდავს გონზე მეტად სწრაფვა სულისა,**
**ვისაც არ ახსოვს შეგონება წმინდა წიგნიდან:**
**ალტერნატივა ყოველსა ჰყავს – გარდა უფლისა!**

**იოსებ არჩვაძე**
2003 წლის დეკემბერი

◎ წინასაარჩევნოდ თქმული

## ფინიშთან

*დღეს დაიწყო მატჩება,*
*ღამე მოკლდება ბოლომით.*
*აგერ, ხვალე მთავრდება*
*კანდიდატების დოლი.*
*... ფინიშზე რა დაგხვდებათ*
*ჭენებ-ჭენებით მოღლილთ?..*

## დებატებიდან პენალტებამდე

*ვით აღდგომა – პრეზიდენტი და ხვალეო?*
*ვისი ხმები ვის შტაბშია – დათვალეო!*
*კარგად როდი დამარწმუნეს დებატებმა –*
*ინტერესი, რა თქმა უნდა, მემატება.*

*არა ვმალავ: თუმცა შოუს მიმაჩვიეს –*
*კიდევ ერთი პოლიტცირკი მენატრება*
*და მეორე ტურამდე თუ მივაწიეთ,*
*დაე, დავა გადაწყვიტოს პენალტებმა...*

**თამაზ ილმელი**

## განცხადება

**ხორციელდება ამერიკული კომპანიის „ბეხტელ ინტერნეიშენალ ინკ."-ის საქართველოში წარმომადგენლობის (რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 2001 წლის 5 ნოემბერს, რეგისტრაციის №5/8-176ძ ლიკვიდაცია.**

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ შემდეგ კოორდინატებზე: ქ.თბილისი. მარჯანიშვილის ქ.№6. მწვანე შენობა, ტელ: 24 30 30; 24 30 31.

◎ თბილისი საახალწლოდ





მურად ალაშვილის ფოტო

◎ ხუმარსიტყვა

# ღარიბი არჩევანი

**– კაცოო, მეჩვენება თუ განგებ ითრევ ფეხსა, – საყვედურობს მეზობელი თაღრიას, – რაღაც საარჩევნო სამზადისს ვერ გამჩნევ!**

– რა მომზადება მინდა რა, მივალ და ჩავაგდებ, – დაარხეინებულია თაღრია.

– კი ჩააგდებ, მაგრამა, ვის სასარგებლოდ ჩააგდებ, ხო უნდა იცოდე?

– რა მნიშვნელობა აქ, მაგათგან, ვისაც ხმა უნდა მივცე, ყველას პრეზიდენტობა უნდა.

– იმათ კი, მაგრამ შენ თვითონ რა გინდა?

– არც მაგასა აქ მაინცა და მაინც მნიშვნელობა.

– რატო ჯო, აბა ამდენ დაპირებებს ტყუილად იძლევან?

– ყველა რომ შეასრულონ, სად წავა არა? სწორი ხარ, მაგათ რო მოუსმინო, მართლა დაიბნევი.

– მაგიტო არ გეუბნები.

– აბა რას მეუბნები?

– იმასა რო, მაგდენი დაპირებებიდან ასარჩევი არაფერია, მოკლედ, ძალიან ღარიბი არჩევანია.

– კარგი ერთი, დავიჯერო, საშენო ვერაფერი იპოვე?

– წარმოიდგინე, ვერა. ყველა ერთიდაიმავეს იმეორებს – თუ ხმას მამცემთ, სიღარიბეს დედას ვუტირებო.

– ჰოდა ჩვენც მივცეთ, რა გვენაღვლება. სიღარიბიდან თუ ამოგვიყვანენ, ხმა რატო უნდა დავიშუროთ?



– მაგრამ აეგ ვერ დავადგინე, იმათგან რომელი უფრო სწრაფად ამოგვიყვანს?

– ეგ რაღაში გჭირდება?

– მჭირდება. თუ ეგ დავაზუსტე, სწორედ იმას არ მივცემ ხმასა, ვინც მაჩქარებს.

– რატო კაცო, გამდიდრება არ გეჩქარება?

– არა და საერთოდ რატო არ მეკითხებიან, მე იქნებ სიმდიდრეს სიღარიბე მირჩევნია?

– გაგიჟდი ჯო, ძლივს გამდიდრების შანსი გვეძლევა და ხელიდან რატო უნდა გავუშვათ?

– არ მინდა, ძმაო, სიღარიბეს ისე მივეჩვიე, ამის შემდეგ გამდიდრება ძალიან გამიჭირდება.

– რას იზამ, რახან ამდენ გაჭირვებას გაუძელი, სიმდიდრესაც როგორმე ნელ-ნელა შეეგუები.

– მარტო შეჩვევა ხო არ არი, სიმდიდრეს ათასი თავსატეხი აქ.

– რაზე ამბობ?

– როგორ თუ რაზე, ვერა ხედამ, პატარკაციშვილი სიმდიდრემ რა ხათაბალაში გახვია?

– კაცო, შენ პატარკაციშვილს რას ედრები, იმას მილიარდები აქ გასახარჯი და იმიტო გაუჭირდა.

– მარტო მაგას არ უჭირს. შენ რო იცოდე, ყველა მდიდარი ღარიბზე უფრო გაჭირვებულია.

– მასე თუ გეშინია, თაღრი, შენც ნუ გამდიდრები, კაცო, ძალას კი არ გატანენ.

– მაგრამ ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცე, რო არ ვიცი?

– მოიფიქრე რამე, ბოლოს და ბოლოს ბიულეტენზე მიაწერე, რო გამდიდრება არ გინდა. ის, ვისაც ხმას მისცემ, ნახავს და მოგეშვება.

– მასეც მოვიქცევი, – დათანხმდა თაღრია, – მაგრამ მე იცი რა მიკვირს?

– თქვი, ნუ გერიდება.

– მიშამ, რომელიც ადრე გზებისა და შადრევნების მშენებლობაზე იყო გადაგებული, ამ ბოლო დროს სიღარიბის დამარცხება რატომ აიჩემა?

– მიშამ კი არა, ძმაო, ოპოზიციამ აიჩემა და მაგანაც, როგორც ჭეშმარიტმა დემოკრატმა, ხათრი ველარ გაუტეხა.

– მასე, კაცო, ოპოზიციას ხო შეიძლება მთვარეზე გაფრენა მოენდომებინა?

– ეგეც ადგებოდა და გაფრინდებოდა.

– არ მამწონს ეგრე, – თავი გააქნია თაღრიამ, – ამ არჩევნებში სიღარიბის უფლებები ძალიან ილახება.

– არც მასეა საქმე, როგორც შენ ფიქრობ. აი ნახავ, ღარიბები არჩევნების შემდეგაც ბლომად დარჩებიან.

– არაო, კაცო, მიშა ამბობს, ღარიბი კაცი საქართველოში ველარ გაიჭაჭანებსო. ასე არ შეიძლება, ძმაო, მე პირადად ვერ გამიგია, სიღარიბემ რა დააშავა? ჩემი აზრით, თუ დემოკრატია გვინდა, სიღარიბეს არსებობის უფლება არ უნდა წავართვათ.

– რაღა დაგიმალოთ და თაღრიას ნალაპარაკები მეც ჭკუაში დამიჯდა. საუბრის შინაარსის გამოქვეყნებაც ამიტომ გადავწყვიტე. ემანდ სირცხვილი არ ვჭამოთ და ისე არა ვქნათ, რომ სილარიბით განთქმულ საქართველოში ღარიბი კაცი სანთლით საძებარი გაგვიხდეს.

**ოტია ჩართოლანი**

◎ რჩევები ნაახალწლევს

# ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო...

**ექიმების მტკიცებით, ნაძვის ხე არა მარტო საახალწლო ატრიბუტი, არამედ მრავალი სნეულების წამალიცაა.**

ძველად ნაძვის წიწვს საცხოვრისების დეზინფექციისთვის იყენებდნენ – ფილტვებით დაავადებულებს ანთებულ ნაძვის ტოტებს აკმევდნენ, ცოცხალ წიწვებს კი იატაკზე ყრიდნენ. საქმე ის არის, რომ ნაძვი ეთეროვან ზეთებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს და აქროლად ნივთიერებებს შეიცავს, რომლებსაც ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება აქვს, განსაკუთრებით კი სტაფილოკოკის მიმართ, რომელიც ფილტვებისა და ბრონქების დაავადებათა მთავარი მიზეზია. გარდა ამისა, თუკი თქვენ ხშირად ცივდებით ან გამუდმებით გახველებთ, მაშინ სახლში აუცილებლად ცოცხალი ნაძვის ხე უნდა იქონიოთ.



◎ ინფორმაცია თემაში

**წიწვოვანი აბაზანისთვის ექსტრაქტის დამზადება რთული არ არის: ორ მუჭა წიწვს ერთ ლიტრ მდუღარე წყალს ასხამენ და 10 წუთის განმავლობაში ადუღებენ, შემდეგ წურავენ და აბაზანაში ასხამენ, წიწვოვანი აბაზანების სრული კურსია 15-20 პროცედურა, რომელიც დღეგამოშვებით 12-15 წუთის განმავლობაში უნდა მიიღოთ.**

წიწვის სურნელება ნერვებს ამშვიდებს და ტონუსს მაღლა წევს, ხოლო თუკი დაიღალეთ ანდა ნერვიულობა შეგხვდათ, წიწვის აბაზანა დიდ შვებას მოგიტანთ, რადგან ამ დროს უმჯობესდება შიდა ორგანოების სისხლით მომარაგება, ნელდება ანთებითი პროცესები. წიწვის აბაზანები კარგად ხსნის ტკივილებს სახსრების დაავადების, კუჭის წყლულისა და კლიმაქტორული აშლილობების დროს.

ნაძვის წიწვი ასევე დიდი ოდენობით კაროტინს, რკინის მარილებს, მანგანუმს, სპილენძსა და ქრომს შეიცავს, შესაძლებელია მისი მოხარშვა და ჩაის მაგიერ მირთმევა.

წიწვის ჩაი ძალიან კარგი შარდმდენი, ნაღველმდენი და ნახველის ამომღები საშუალებაა, რომელსაც ავადმყოფებს უნიშნავენ ძლიერი ხველების, ხშირი გაციების დროს, ასევე ავიტამინოზის პროფილაქტიკის მიზნით. მიკროელემენტების მაღალი შემცველობის წყალობით „ნაძვის ჩაი" დიდად უწყობს ხელს ნივთიერებათა ნორმალურ მიმოცვლას, ამდენად, სიცივეში ნაძვის ხეზე უკეთესი „მკურნალის" მოძებნა ძალიან ძნელია.

◎ ინფორმაცია თემაში

**წიწვის ჩაის დამზადების რეცეპტი ასეთია: 30 გრამი წიწვი (ეს პირსზევით სავსე სუფრის კოვზიაძ ცივი ანადუღარი წყლით უნდა გარეცხოთ, დაასხათ ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღოთ 20 წუთის განმავლობაში, გააციოთ, გაწუროთ და დღის მანძილზე შაქრით ან თაფლით სვათ.**

თუმცა ერთი კია: გასათვალისწინებელია, რომ სამკურნალო თვისებები მხოლოდ ახალ წიწვს აქვს, რომლებსაც იგი 2-3 დღეშიც კი კარგავს, თანაც მისი მუდმივად „ექსპლუატირება" გამუდმებით არ შეიძლება.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



ვემშვიდობებით ჩუზჩიკას

# ნიჭის სიხასხასე

ეთერ თათარაიძეზე წერილი უნდა დამეწერა და ეს სურათი მიჩვენა მასპინძელმა (ქვემოთ რომ ვბეჭდავთ). იგი 1980 წელს სვანეთშია გადაღებული, მთის ფერდობზე მილიმილობენ ეთერ თათარაიძე და თენგიზ მირზაშვილი – ჩვენი ჩუზჩიკა – ბრწყინვალე ფერმწერი, რომელმაც თუშეთში აღმოაჩინა და ერთ-ერთ ფოლკლორის საღამოზე, ვახუშტი კოტეტიშვილთან ერთად, მთელ საქართველოს წარუდგინა ეთერ თათარაიძე – სრულიად უნიკალური მოვლენა ქართულ პოეზიაში...

ასეთი რამ ჩამაწერინა შეხვედრისას ეთერმა: – **ბავშვობიდან მესმოდა ბატონი თენგიზის სახელი. იგი უსპეტაკესი კაცია მთელ თუშეთში. 15 წლისას უნახავს იქაურობა, ჩაუწერია ხალხური პოეზიის ნიმუშები, და, დღეს, მთელი მისი შემოქმედება ისეა გაჯერებული თუშეთით, რომ შეიძლება ბევრს თუშიც კი ჰგონია ეს ქართლელი კაცი. იგი ჩემი ყველა წიგნის მხატვარია, გულშემატკივრობს ჩემს შემოქმედებას, ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას და, ამით, ცხადია, ბედნიერი ვარ. იგი არასდროს ხატავს კონკრეტულ თუშეთს. კი, აქვს რამდენიმე ნახატი, მაგრამ, საერთოდ, როგორც ყველა დიდი შემოქმედი, ზოგადქართულ სათქმელს ამბობს, საქართველოს ხატავს. ეს მისი თუშეთია. საოცარი პიროვნებაა ბატონი თენგიზი. მე თუ რაიმე გამეგება ამქვეყნად, ან რამე თვალსაწიერი გამაჩნია, ეს ამ უგანათლებულესი კაცის დამსახურებაა“.**

წარმომიდგენია, რა დამწუხრებულია ახლა ეთერქალი, მთელი მისი ოჯახი – თენგიზ მირზაშვილი გარდაიცვალა... დაგვტოვა ჩუზჩიკამ – გამორჩეულმა სამოციანელმა, უნიჭიერესი თაობის ერთ-ერთმა თვითმყოფადმა შემოქმედმა – მხატვარმა, ფოლკლორისტმა, ფიროსმანისა და გალაკტიონის იდუმალი სამყაროს დაუცხრომელმა მკვლევარმა, პოლემისტმა, რუსთველოლოგიით დაინტერესებულმა...





ბედნიერება მქონდა რამდენჯერმე დამეწერა მასზე, მის პიროვნებაზე, მისი ფერწერის სიხასხასეზე...

ორიოდე წლის წინათ იყო, რუსთაველზე შვილიშვილს მივასეირნებ, მოდის ჩუზჩიკა – ჩქარი, ფაციფუცა ნაბიჯებით, ხელში ჩანთით... გულითადად მოვიკითხეთ ერთმანეთი, ბავშვს მიუალერსა. „რა ვაჩუქო ახლა ამ ანგელოზს?“ უცებ გახსნა ჩანთა და რამდენიმე თუშური ჩანახატი გაუწოდა ანანიკოს.

ეს ჩანახატები ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მაქვს გამოფენილი სახლში, უყვარს ანანოს ამ უმშვენიერესი ფერების ცქერა.

დარწმუნებული ვარ თენგიზ მირზაშვილის ფერწერა მომავალ თაობასაც აღტაცებაში მოიყვანს.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

**ვილენ მარდალეიშვილი**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მხატვრის

**თენგიზ მირზაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გარდაიცვალა ხელოვანთა სფეროში ყველასათვის საყვარელი ადამიანი – „ჩუზჩიკა“ –

**თენგიზ მირზაშვილი**

ჭეშმარიტად სახალხო მხატვარი, რომლის მოღვაწეობა ნათელი მაგალითია კაცთმოყვარეობისა.

ბატონი თენგიზის მრავალმხრივი შემოქმედება ფერწერაში, გრაფიკაში თუ დეკორატიულ თეატრალურ ხელოვნებაში მის ნიჭიერებაზე მეტყველებს და მიგვანიშნებს მხატვრის უზადო პროფესიონალიზმზე და მაღალ კულტურაზე. მისი გარდაცვალება ქართული კულტურის დიდი დანაკლისია.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ნიჭიერ ხელოვანს და თანაუგრძნობს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

ალიკო კობაიძე ოჯახით იუწყება დედის

**თამარ ნიკოლოზის ასულ კობაიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4 I, 16 სთ. გამოსვენება 5 I, 14 სთ. ყიფშიძის ქ.№7.

---

გოგუცა და მურმან გიორგაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ალექსანდრე კობაიძეს და მის ოჯახს დედის

**თამარ კობაიძის**

გარდაცვალების გამო

---

მინდია სალუქვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი ნათესავის, უკეთილშობილესი ქალბატონის

**ლარისა ლავრენტის ასულ კოდუა-გვასალიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და მთელ სანათესაოს.

---

ცხინვალის №1 საშუალო სკოლის 1962 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან ფიზკულტურის მასწავლებლის, ალპინიზმში სპორტის ოსტატ

**გიორგი დევიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ჭირისუფლებს. დაკრძალვა 5 I, 14 სთ. გამოსვენება თბილისის ვაკის ტურბაზიდან.

---

საბურთალოს ქუჩის №61 სახლის მცხოვრებნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დამსახურებული პედაგოგის, ძვირფასი მეზობლისა და კეთილშობილი პიროვნების

**ნათელა ხუციშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქ. თბილისის №4 სამშობიარო სახლის დირექტორს, მედიცინის დოქტორს ნუკრი მანჯგალაძეს გარდაეცვალა დედა

**ნათელა თავბერიძე-მანჯგალაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გვწერენ

## განცხადების ტექსტი ჩემთან არავის შეუთანხმებია

**გასული წლის 22 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის დეპუტატები, ჩემი მეგობრები:** ნ. ბურჭულაძე, რ. პეტრიაშვილი, ვ. შურღაია, გ. მამფორია, ვ.მირცხულავა, ზ.ქობალია, ჯ. შონია, ი. ტალიაშვილი, ნ. ნონიაშვილი, ი. ნარმანია, ასევე არადეპუტატები გ. აბსანძე, ვ.გაბელია, გ. ბახტაძე და სხვები. სამწუხაროდ, მათ შორის არის ჩემი სახელი და გვარიც. სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც ხსენებული განცხადების ტექსტი არავის შეუთანხმებია ჩემთან, რაც არაკორექტულ ქმედებად მიმაჩნია ჩემს მიმართ, ამასთანავე იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში ასეთი რამ არ განმეორდება ჩემი მეგობრების მხრიდან.

**ავთანდილ რცხილაძე**
3 იანვარი, 2008 წელი.

SOS!

## აკი ნუ „გეშინიათო!!!“

**პრეზიდენტობის კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის განცხადებიდან 15 წუთში მისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელების კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში დაბარება დაიწყეს.**

ამის შესახებ ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის პრესსამსახურის უფროსმა ელისო კილაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, კუდის შენობაში დაკითხვაზე იმყოფებოდნენ შიდა ქართლის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი რამაზ ბერიანიძე, თელავის შტაბის ხელმძღვანელი გია ხაზიური და ონის შტაბის ხელმძღვანელი გოგი ონიანი.

ელისო კილაძის თქმით, აღნიშნულ პირებს სააგიტაციო მასალა წაართვეს და ყველა შტაბში და ასევე კომისიებში, სადაც პატარკაციშვილის მხარდამჭერები არიან, მათზე ზეწოლას ახორციელებენ.

**ინტერპრესნიუსი**


## განცხადება

სს „ვედიდკარის“ გაკოტრების კომისია 2008 წლის 15 იანვარს აცხადებს განმეორებით აუქციონს სს „ვედიდკარის“ უძრავ-მოძრავი ქონების აუქციონის წესით გაყიდვაზე. ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე მარტვილი სოფ. ვედიდკარი ტ. 895 92-13-72.

სააქციო საზოგადოება „თამარიონი“ ატარებს აქციონერთა საერთო კრებას 2008 წლის 25 იანვარს 17.00 სთ-ზე, მისამართზე: გორგასლის 73.

**დღის წესრიგი:**

1.ბანკი „რესპუბლიკიდან“ სესხის გამოტანა.

**სამეთვალყურეო საბჭო.**

რეკლამა — კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.


ინფორმაცია

## ივერიის ღვთისმშობლის ხატი დევნილის შემოწირულობით

**უკრაინაში მცხოვრები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ქართველების შემოწირულობით, დაიწერა და ოქროს პერანგით შეიმოსა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი.**

ხატი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიწერა. უკრაინაში გამგზავრებამდე ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჯერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს მოივლის. მოგზაურობის დაწყებამდე ხატი ერთი კვირის განმავლობაში ქაშვეთის ტაძარში იყო დაბრძანებული. შემდეგ კი სვეტიცხოველში გადააბრძანეს, სადაც რამდენიმე დღე დარჩება. მცხეთიდან ივერიის ღვთისმშობლის ახლად დაწერილი ხატი ბორჯომში, ქუთაისში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში გაეგზავრება.

ბათუმიდან ხატი ოდესაში გადაბრძანდება, სადაც ოდესისა და იზმაილოვის ეპისკოპოსის აღაპ-ანგელთსის ლოცვა-კურთხევით, 5 დღის განმავლობაში ოდესის რამდენიმე ტაძარს შემოივლის.

საბოლოოდ ხატი კიევში გადაბრძანდება, სადაც უკრაინის მიტროპოლიტის, უწმინდესი ვლადიმერის ლოცვა-კურთხევით, კიევო-პეჩორას ლავრაში, ჯვართამაღლების სახელობის ტაძარში მუდმივ ადგილს დაიმკვიდრებს.

როგორც საქართველოს საპატრიარქოში განაცხადეს, ეს იქნება უკრაინაში მცხოვრები ქართველების მოკრძალებული შეწირულობა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.



## ექსპრეს-ტელეფონები

# ხელსაწყოები ტაცად

# ხელსატაცად

● სახანძრო სამსახური 01, 754229, 755397;
● საპატრულო სამსახური – 022;
● სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 033, 999208;
● გაზის საავარიო სამსახური – 04, 962715, 745904;
● სასწრაფო მომსახურება;
● ამინდის ბიურო 95 02 02;
● დაკარგული ნივთების ბიურო 98 81 39;
● სამისამართო ბიურო 34 60 00;
● დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 06; 99 06 06;
● ცენტრალური ავტოსადგური 72 34 33;
● რკინიგზის სადგურის ცნობარი 566253, 564760



● დიდუბის ავტოსადგური 34 72 39;
● ტაქსის გამოძახება 006, 929, 008;
● შსს მორიგე 99 95 24;
● ქალაქის მორიგე 98 54 74, 52 81 80;
● გაზი გამოძახებით 008;
● აეროპორტის ცნობათა ბიურო 43 32 21, 43 31 41;
● ვეტერინარული დიაგნოსტიკის ცენტრალური ლაბორატორია 53-09-67; 39-54-79;
● სახელმწიფო კანცელარიის ცხელი ხაზი 92 25 88; 92 26 84; 92 25 89; 92 26 85;
● უშიშროების სამინისტროს ცხელი ხაზი 95 36 53;
● საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 28 47 47;
● არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ 22 37 60;
● სახალხო დამცველი 92 24 79; 99 08 36; 92 24 70;
● ომბუდსმენის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი 92 39 60;
● შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 98 39 43; 99 53 50;
● ფინანსთა სამინისტრო 22 17 80; 22 09 24;
● ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 93 40 41;
● კომუნიკაციების ეროვნული კომისია 98 23 38;
● ბავშვთა უფლებების დაცვის კრიზისული დახმარების ცენტრი 99 66 04;
● მერიის და საკრებულოს ცხელი ხაზი 994, 93 38 38, 93 38 39;
● მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური 37 78 70;
● შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური 22 61 48; 22 33 53;
● მერიის მოქალაქეთა მისაღები 99 08 66;
● საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზი 99 74 10;
● ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 92 13 05;
● კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება 2 საათით, პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში 51 77 37;
● ჯანდაცვის სამინისტრო 94-49 ან 94 34 98;
● საქართველოს შსს სანებართვო განყოფილების ცხელი ხაზი 98 56 01;
● იუსტიციის სამინისტრო 75 82 21;
● „თბილგაზის“ ცხელი ხაზი 20 04 05, საინფორმაციო 37 04 00;
● ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის – 25 01 45; 22 54 17;
● თელასის ცხელი ხაზი 77 99 99, საინფორმაციო 25 52; 25 52 11;
● წყალკანალის საავარიო სამსახური 62 31 28;
● კანალიზაციის საავარიო სამსახური 74 38 68;
● საქსტანდარტი 60 36 10;
● საქალაქთაშორისო კოდების ბიურო 95 07 01;
● შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 94 33 11;
● რესპუბლიკური საპატრულო პოლიცია 80 02;
● შსს-ს საინფორმაციო ცენტრი 99 93 55;
● საბაჟო დეპარტამენტის ცხელი ხაზი 76 82 22;
● გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 53 06 32;
● მერიის „თბილლიფტი“ 95 43 71;
● ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი 99 04 02.

## კანდიდატი გისმენთ



ლევან გაჩეჩილაძის შტაბი – თოფურიას ქ. №10 (ტელ. 32-05-47 ან 32-05-81ძ.



ბადრი პატარკაციშვილის შტაბი – ბოჭორმის ქ. № 20 (ტელ. 74-65-18, 74-69-68, ცხელი ხაზი 74-69-66ძ.



დავით გამყრელიძის საარჩევნო შტაბი – „მემარჯვენეების“ ოფისი, მის. ორთაჭალა, ჟანი კალანდაძის ქ. №3-ში (ტელ: 72-15-10ძ.



შალვა ნათელაშვილის შტაბი – ჯავახიშვილის ქ. №88 (ტელ: 91-16-17 ან 94-39-22, 91-04-05ძ.



მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბი – ფილარმონია, მეორე სართული (ტელ. 92-05-87 ან 92-05-89ძ.



გია მაისაშვილის შტაბი – ყაზბეგის ქუჩა №44 (ტელ: 39-46-17ძ.



ირინა სარიშვილის შტაბი – ალმაშენებლის პრ. 52 (ტელ: 91-09-17 ან 91-09-16ძ.

## გვემრავლოს!

# საქართველოს დაკვებებოდეს

**ძვირფასო რედაქცია, თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ და მინდა ჩემი დიდი სიხარული „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით ყველას გავუზიარო.** ეს სიხარული კი მომანიჭა საახალწლო დღეებში პატარა მარიამის დაბადებამ. ამ ერთი წლის წინათ ჩემმა ძმისშვილმა ანა გიორგანაშვილმა ქართული, ტრადიციული ოჯახი შექმნა თბილისელ გიორგი მეგრელიშვილთან ერთად, მათ ამ დღეებში პირველი ქალიშვილი შეეძინათ.

ვულოცავ მათ მარიამის დაბადებას. ვუსურვებ საქართველოს, ამ წელს უთვალავი ნორჩი დაკვებებოდეს.

**ეკა გიორგანაშვილი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

– ერთი ნახეთ, რა ხდება გარშემო! ყველგან სექსი, ეროტიკა და პორნოგრაფიაა! საშინელებაა საყურებლად!
– სამაგიეროდ მონაწილეობაა სასიამოვნო...

* * *

პროფესორი ოჯახში წუწუნებს:
– მაინც საით მიექანება ეს სამყარო?! როდესაც გოგოს ინტერნეტი ჩავურთე, ვფიქრობდი, რომ მცირეოდენ სარგებელს მაინც მიიღებდა მისგან. ის კი თურმე მთელი დღეების მანძილზე პორნოგრაფიის გადმოქაჩვის მეტს არაფერს აკეთებს!
– თანაც როგორი მდარე ხარისხიანისა! – კვერს უკრავს ცოლი.



* * *

– რა ღირს ბილეთი? – ეკითხება პატარა მიხო კინოთეატრის მოლარეს.
– ათი ლარი.
– მე რომ მხოლოდ 5 ლარი მაქვს?... შემიშვით რა, და ცალი თვალით ვუყურებ!

* * *

თუ კვირაში კიდევ 5 კილოგრამით გასუქდი, ესე იგი, ეს დიეტა შენთვის მეგობარს ურჩევია.

* * *

პასუხი მუდმივ ქალურ კითხვას: „მივცე თუ არ მივცე“ , 2008 წლის 5 იანვარს გაეცემა.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.